№ 75

შაბათი, 14 მაისი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 75

შაბათი, 14 მაისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, გრძელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверіа“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია გადავიდა ფრეილინის ქუჩაზე № 5.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მაისიდან წლის დამლევამდის 6 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверіа“.

კვირას, 15 მაისს, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

იოსებ ზოსიმეს ძის ბაქრაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა მისი **ეკატერინე სიმონის ასული** და **მეუღლე ელისაბედ ანტონის ასული შვილებითურთ.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი—12 საათზე.

(2—უ—1).

ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 15 მაისს, შუადღის 1 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი ქართულ მუსიკის მოღვაწის

ვლადიმერ აღნიაშვილის

სულის მოსახსენებლად.

(2—ნ.—1).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ამეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ქირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ი. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ი ვ ა ნ ე პ. ა ხ ა ლ შ ე ნ ი შ ვ ი ლ ი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. №) 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

საჭირო და ყოველთვის სახმარებელი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი,

შედგ. ი. იმედაშვილის-მიერ. ფ. უყდოთ 1 მ. ყდით 1—50.

Тифл., книжн. торг. Іос. Зах. Имедашвили.

საოლქო თვითმმართველობა

ბიუროკრატიულ წესწყობილების უვარგისობის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ თანამედროვე რეჟიმი მართვა-გამგეობისა სრულ ცენტრალიზმის პრინციპზეა დამყარებული.

მთელ რუსეთს აქვს ერთი ცენტრი—პეტერბურგი, საიდანაც სახელმწიფოს ყველა კუთხისაკენ აუარებელი რადიუსია გაყვანილი. ეს რადიუსები ყოველნაირ საქმეს—შინაურსა და საგარეოს, მნიშვნელოვანსა და უმნიშვნელოს, საგლეხოსა და სათავადოს—ცენტრისაკენ ეწევიან, ცენტრში აგროვებენ და ცენტრშივე განაგებენ.

მეცნიერებამ და ცხადმა გამოცდილებამაც მართვა-გამგეობის ამგვარი სისტემა დიდი ხანია დაიწუნა და დაჰგმო. მისი უვარგისობა, რასაკვირველია, რუსეთის ბიუროკრატიასაც ესმის, მაგრამ ამ სისტემაზე ხელს მაინც არ იღებს და თავსაც იმით მართლულობს, რომ ცენტრალიზაცია სახელმწიფოს მთლიანობას უფრო ამტკიცებს და ძალას უმატებსო; დეცენტრალიზაცია კი, პირიქით, სახელმწიფოს მთლიანობას არღვევს და ასუსტებსო.

ეს მოსაზრება იმდენად უსაფუძვლო და უსაბუთოა, რომ ცოტად თუ ბევრად სერიოზულ კრიტიკას ვერ გაუძლებს. საკმარისია მოვიგონოთ შვეიცარია, გერმანია, ამერიკა და ზემოდ მოყვანილი არგუმენტაციაც თავის თავად დაინგრევა. თუმცა გერმანიის იმპერიისა და კიდევ უფრო ამერიკის სახელმწიფო მართვა-გამგეობა დეცენტრალიზაციის პრინციპზეა დამყარებული, მაგრამ თვით ბიუროკრატიაც ვერ იტყვის, რომ ორივე სახელმწიფოს რუსეთზე ნაკლები მთლიანობა და ძალა ჰქონდეს.

როცა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა სრულ დეცენტრალიზაციის პრინციპებზეა აშენებული, ყოველ ერს ფართო თვითმართველობა აქვს მინიჭებული,—თავის შინაურ საქმეების მოწესრიგებაში დამოუკიდებელია და საზოგადოდ მთელს სახელმწიფოში ისეთი წესწყობილებაა დამყარებული, რომ ერთი ერი მეორემ ველარ დაჩაგროს, მაშინ ეროვნულ საკითხსაც აღარ აქვს ადგილი,—ასეთ გარემოებაში ეროვნულ ბრძოლასა და დაბეჩავებას ესპობა ნიადაგი. ეროვნული დევნა ხალხში ეროვნულ გრძნობას აღვიძებს, ეს კი თავის მხრით კლასობრივ თვითშემეცნებას აფერხებს. ამ მხრით ეროვნულ საკითხის გამწვავება დიდ ზარალს აძლევს მუშათა კლასს და იგი პირდაპირ დაინტერესებულია, რომ ეს საკითხი მოისპოს. მისი მოსპობა კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა სუსტ ერის ბედ-იღბალს ისე მოაწყობენ, რომ ძლიერმა ერმა მისი დაჩაგვრა ველარ მოახერხოს, ე. ი. როცა დამოკიდებულ ერებს მიეცემა ფართო თვითმმართველობა საკანონმდებლო უფლებით თავის შინაურ საქმეებში.

ამჟამად რუსეთშიაც საზოგადოების მოწინავე ნაწილმა სრულიად დაჰგმო ცენტრალიზმის სისტემა და იმის წინააღმდეგ ამხედრდა.

მაგრამ ერთი პარტია—„მესამე დასი“,—რომელიც რუსეთში ერთ უკიდურეს მემარცხენეთაგან შესდგება და პროგრესიულ პარტიად ითვლება, ცენტრალიზმის სისტემას გამოესარჩლა და თავისდა უნებურად ბიუროკრატიას გვერდში ამოუდგა.

ამ პარტიას ეს მეზობლობა, რასაკვირველია, არ მოსწონს, ზურგს აქცევს და, შეიძლება, სულით და გულით უნდოდეს კიდეც იმ წერტილის—ცენტრალიზმის მოსპობა, რომელიც ამ ორს უკიდურესს პოლიუსს აერთებს, მაგრამ სხვადასხვაობა ცენტრალიზმის მომხრეობის მიზეზებისა ამ შემთხვევაში ბევრს არაფერს ნიშნავს და სულაც არა სპობს მესამე დასსა და ბიუროკრატიას შორის საერთო პლატფორმას. საქმე იმაშია, რომ დასელთა მსჯელობით დასაგმობი და უარსაყოფი თვით ცენტრალიზმი კი არ არის, როგორც სახელმწიფო მართვა-გამგეობის სისტემა და პრინციპი, არამედ დასაგმობია იგი, ვისაც ახლა ეს იარაღი უჭირავს ხელში, ე. ი. არ ვარგა მხოლოდ ბიუროკრატიული ცენტრალიზმი, ხოლო რაც შეეხება დემოკრატიულ ცენტრალიზმს,—ეს სახელმწიფო მართვა-გამგეობის საუკეთესო ფორმა იქნებაო.

აი, სწორედ ამაში ყალბობს მათი იდეოლოგია. იგი ცენტრალიზმის თვით პრინციპს კი არ უარჰყოფს, არამედ ამ პრინციპის მომხმარეს, ბიუროკრატიას, რომელიც ამ პრინციპს შესაფერად ვერ ხმარობსო. ბიუროკრატია რომ ვერავითარ პრინციპს ვერ ხმარობს შესაფერად, ეს ყველამ ვიცით, მაგრამ საქმე ამაში არ არის.

დეცენტრალიზაციას, საზოგადოდ, ორი მოსაზრება მოითხოვს: პირველი—სახელმწიფოს ტერიტორიული სიდიდე და მეორე,—როცა ერთ სახელმწიფოში სხვა-და-სხვა ეროვნებანი ცხოვრებენ,—თავისუფალ ეროვნულ განვითარების საჭიროება. გერმანიის იმპერიაში, მაგალითად, უფრო ერთი ეროვნება ცხოვრობს, მაგრამ ეტნოგრაფიული, გეოგრაფიული და ისტორიული შედარებითი სხვა-და-სხვაობა ბავარელებისა, საქსონელებისა, ვიურტემბერგელებისა, პრუსიელებისა და სხვათა—აუცილებლად დეცენტრალიზაციას მოითხოვდა. ინგლისი კანადასა, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას ავტონომიას რომ აძლევდა, ორის მოსაზრებით ხელმძღვანელობდა: კოლონიების ტერიტორიულ სიშორით მეტროპოლიიდან და ეროვნულ სხვა-და-სხვაობით, უფრო-კი, რასაკვირველია, კოლონიების სიშორით. მეტროპოლიას პირდაპირ არ შეეძლო ნამდვილი ხელმძღვანელობა გაეწია იმ ქვეყნებისთვის, რომელნიც რამდენიმე ათას ვერსით, რამოდენიმე ოკეანეთი იყვნენ დაშორებულნი ინგლისისგან. ამერიკის შეერთებულ შტატებმაც იმიტომ შემოიღეს ფედერაცია რომ ამერიკელებმა იმოდენა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ერთ ცენტრიდან შეუძლებლად იცნეს. თუ საფრანგეთში ისეთივე შტატები არ არის დაარსებული, როგორც ამერიკაშია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საფრანგეთი, ჯერ ერთი, ერთ ეროვნებისგან შესდგება და მეორეც—საფრანგეთი ისედაც პატარა სახელმწიფოა, თუმცა კი ფედერაციას არც საფრანგეთში ჰყავს ცოტა მომხრე

რუსეთში დეცენტრალიზაციის მოხდენის წინააღმდეგნი არიან მხოლოდ „დასელები“ და ბიუროკრატები. მესამე დასი პარტიულ და კლასობრივ ინტერესების დაცვით ხელმძღვანელობს (ნამდვილად არც პარტიული და არც კლასობრივი ინტერესები არ მოითხოვენ ცენტრალიზაციას), ბიუროკრატია კი—თავის თვითნებობისა და პირად ინტერესების გულისთვის უარჰყოფს დეცენტრალიზაციას.

ასეა თუ ისე, «დასელთა» მთავარმა გამგეობამ დეცენტრალიზაცია უარჰყო და ცენტრის რადიუსი—აქაური განყოფილებაც იმ დადგენილებას ემორჩილება.

საგულისხმოა, რომ მესამე დასიცა და ბიუროკრატიაც ერთნაირად ასაბუთებენ თავიანთ თეორიას: მთლიანობის დაცვით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბიუროკრატია სახელმწიფოს ვითომდა მთლიანობასა და ერთიანობს იცავს, მესამე დასი კი—პარტიისას.

ერთ კრებაზე ჩვენებურ დასელთა ერთმა იდეოლოგმა საჯაროდ განაცხადა, პრინციპიალურად მე ავტონომიის წინააღმდეგი არა ვარო, ე. ი. დეცენტრალიზაციას ვემხრობიო. მეორე კრებაზე მეორე იდეოლოგმაც აღიარა, თუმცა ჩვენ ავტონომიის წინააღმდეგნი არა ვართ, მაგრამ მაინც ვეწინააღმდეგებითო (მიზეზი—პარტიის მთავარ გამგეობის დადგენილებაა).

მესამე დასის პროგრამა ავტონომიას არ იხსენიებს, სამაგიეროდ დამფუძნებელ კრებაში ფართო ადგილობრივ თვითმმართველობისა და ოლქობრივ თვითმმართველობის მოთხოვნას აპირობს· დასელთა ერთი დადგენილება ამბობს: „დამფუძნებელ კრებაზე ჩვენ მოვითხოვთ: ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და საიდუმლო კენჭის ყრაზე დამყარებულს და ოლქობრივ თვითმმართველობას იმ ადგილებისთვის, რომელნიც ცხოვრების პირობებითა და მცხოვრებთა თავისებურობით განირჩევიან (ერთმანეთისაგან)“.

ეს ისე ბუნდოვანად არის ნათქვამი, რომ ძნელი გასაგები იყო, თუ რა შინაარსს აძლევდნენ დასელები აქ ნახსენებ «თვით-მმართველობას“. ძნელი გასაგები იყო იმიტომ, რომ აქ არ არის ნათქვამი, თუ რა ფუნქცია, რა უფლებანი ეძლევა იმ საოლქო თვითმმართველობას. ამიტომაც ის იდეოლოგები, რომელნიც დასის მთავარ გამგეობასთან ახლოს არ დგანან, მუდამ რყევაში იყვნენ და ვერ ახერხებდნენ გარკვევით განემარტად შინაარსი მათივე პროგრამის „თვითმმართველობისა“. ეს თვითმმართველობა უნდა იყოს „ფართო“,უნდა იყოს სრულიად „ფართო“ და კიდევ „ფართო“,—აი, პასუხი, რომელსაც ისინი იძლეოდნენ შეკითხვაზე. სიტყვა ფართო იმათ ყველაფრის ამხსნელად მიაჩნდათ და ამიტომ ყველას, ვინც მათ ეტყოდა: თქვენი „რადიკალური“ პროგრამა დამოკიდებულ ერებს მხოლოდ ერობის მსგავს თვითმმართველობას აძლევსო,—ლანძღვით მიმართავდნენ და უტვინო ცილის მწამებლებს უწოდებდნენ.

მაგრამ დღეს ისეთი დროა, რომ ცარიელ ფრაზით ვისმესი დაკმაყოფილება აღარ შეიძლება. ბოლოს დასელები იძულებულნი გახდნენ უფრო გულდასმით მოეფიქრათ თავისს „თვითმართველობაზე“ და გარკვეული აზრი შეედგინათ მის უფლებათა ფუნქციის შესახებ. ეს მოხდა წარსული თვის შუა რიცხვში, როცა ჩვენებურმა დასელებმა შემდეგი დადგენილება შეიმუშავეს:

„ვიღებთ რა მხედველობაში კავკასიის ცხოვრების განსხვავებულ პირობებს და გამოვდივართ რა იმ შეხედულებისაგან, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შინაარსს შეადგენს კლასთა და არა ერთა ბრძოლა,—ჩვენ საჭიროდ ვსცნობთ, შემოღებულ იქმნას მთელი კავკასიისათვის ერთი საერთაშორისო სათემო თვითმმართველობა თავისი ცენტრალური ორგანოთი, რომელიც არჩეულ უნდა იქმნას საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით, მიუხედავად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და სქესისა და რომლის წევრთ ნება ექმნებათ იხმარონ თავისი ენა. თვითმმართველობის დანიშნულებაა, **რუსეთის კანონმდებლობის საზღვარში**, განაგოს ვავკასიის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება“.

იმედია, ახლა ცხადად ხედავთ, თუ რა შინაარსისა და უფლების შემცველი არის ის თვითმართველობა, რომელსაც დემოკრატიულ, კანონმდებლობის უფლებით აღჭურვილ ავტონომიის მოწინააღმდეგე დასელები ეტრფიან. ისინი უარჰყოფენ ავტონომიას და მის ნაცვლად გვაჩეჩებენ ახალი „სორტის“ ერობას, რომლის მიერ «სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრების» მოწესრიგება იმაში გამოიხატება, რომ გააწერს ფულს სკოლებისა და სამკურნალოების შესანახად, გაიყვანს შარაგზებს და უწამლებს დაავადებულ ოთხფეხ საქონელს...

ასეთი მოთხოვნა დიდ პოლიტიკურ რადიკალობას მოწმობს, მკითხველო,—განა?..

მ. ად—ლი.

სწავლა-განათლების საქმე კავკასიელ მაჰმადიანებში

კავკასიელ მაჰმადიანებში სწავლა-განათლების საქმე დღესაც მოუწყობელი რჩება, ვინაიდან რუსეთის მთავრობა ყოველთვის უყურადღებოდ სტოვებდა ხოლმე მაჰმადიანთა სამართლიან მოთხოვნილებას.

კავკასიის ბიუროკრატია საშინლად სჩაგრავდა მაჰმადიანებს კავკასიაში.

კავკასიის ბიუროკრატია, სასწავლებლებს რომ აწყობდა, ივიწყებდა ხოლმე მაჰმადიანების არსებობას და იმ მცირე უფლებებსაც უსპობდა მაჰმადიანებს, რომელიც ქრისტიანე სხვადასხვა ეროვნებას ჰქონდა მინიჭებული.

ამიტომ ახლა, როდესაც კავკასიაში, როგორც მთელს რუსეთშიაც, აუცილებლად უნდა ამოვიდეს ახალის ცხოვრების ცისკარი, ძალაუნებურად შიშობს ადამიანი, ვაი თუ მაჰმადიანებმა ვერ მოახერხონ და ცხოვრების ახალი პირობები ვერ შეითვისონ!

აქ მეტია იმის ჩამოთვლა, რა და რა დაბრკოლებას უყენებდა წინ მაჰმადიანებს კავკასიის მთავრობა, როგორ უშლიდა ხელს სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში.

მაჰმადიანებს ნებას არ აძლევდნენ დაეარსებინათ სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოება, ნებას არ აძლევდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება მოეწყოთ თავისთვის...

კავკასიის მთავრობა ყოველთვის მაჰმადიანების მოწინააღმდეგე ყოფილა კავკასიაში.

ოთხმოციან წლებამდის კიდევ შეგვხვდებოდა აქა-იქ მაჰმადიანი მასწავლებლები, მაგრამ შემდეგ, გრაფის დელიანოვის განკარგულებით, მაჰმადიანებს აუკრძალეს საქალაქო და საშუალო სასწავლებლებში მასწავლებლობა.

ახლა მთელ რუსეთის საშუალო სასწავლებლებში ბევრი მაჰმადიანი მასწავლებელიც არ მოიპოვება, საქალაქო სასწავლებლებში კი მხოლოდ ძველი მასწავლებლები დარჩა, ისინი, რომელნიც მასწავლებლად ყოფილან დელიანოვის განკარგულებამდისაც.

ამჟამად კავკასიაში ბევრია ახალგაზდა მაჰმადიანი, რომელთაც საოსტატო ინსტიტუტში სწავლა აქვთ დასრულებული... ყველანი უსაქმოდ არიან, ან ძალა-უნებურად სოფლის მასწავლებლად მიდიან, თუმცა იმავე დროს მათს ამხანაგ ქრისტიანებს, მათთან შედარებით, გზა შლილი ჰქონდათ ყველგან...

როდესაც ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლა დასრულებულმა მაჰმადიანმა ალი-ბეგ-ნოვრუზოვმა კავკასიაში ითხოვა ადგილი, მთავრობამ პირდაპირ გამოუცხადა: ,,სჯულს თუ არ გამოიცვლი, სასწავლებლებში ვერავითარ სამსახურს ვერ მიიღებო''. ან სარწმუნოება უნდა დაეგმო, ან სამსახურზე უნდა აეღო ხელი. იმანაც, რასაკვირველია, მეორე ისურვა და აგერ 15 წელიწადზე მეტია, მასწავლებლობის მაგივრად, სპირტს ზომავს, აქციზში მსახურობს.

მაჰმადიანი მხოლოდ გადასახადების ასაკრებად სჭიროდა მთავრობას!..

ამნაირ პირობებში მაჰმადიანები, რასაკვირველია, არც საოსტატო ინსტიტუტში, არც ფილოლოგიურ ფაკულტეტზე არ მიდიოდნენ...

სასწავლებელმაც ამის გამო თავისი მიმზიდველი ძალა დაჰკარგა.

მაგრამ ესეც არა კმარა. მთავრობამ სასწავლებლებში მისაბარებლათა ამნაირი პირობები შექმნა, რომ მაჰმადიანებისათვის შეუძლებელი შეიქმნა პირველ კლასებში შესვლა.

მაჰმადიანებს, სადაც ოჯახში ხშირად არც მამამ და არც დედამ არ იცის რუსული, სადაც ბავშვი მხოლოდ 8 წლიდან თუ იწყებს რუსულს, მთავრობა ეუბნებოდა,—გიმნაზიაში 8 წლის ბავშვი მიიყვანეთო მისაბარებლად და ამ ბავშვმა იმდენივე რუსული უნდა იცოდეს, როგორც რუსმაო...

როგორია საშუალო სასწავლებელი მაჰმადიანებისთვის? როგორი მზრუნველობა გამოიჩინა აქ მაჰმადიანებისთვის კავკასიის ყოფილმა მთავრობამ? მაჰმადიანებისთვის დედა-ენას სდევნიდნენ, მასხარადაც იგდებდნენ, მასწავლებლებლად განზრახ გაუნათლებელ და განუვითარებელ მაჰმადიანებს ნიშნავდნენ...

ნუ თუ ამისთვის მადლიერნი უნდა იყვნენ მაჰმადიანები?..

სახალხო სასწავლებლები თვით ხალხის ხარჯით ინახება ყველგან, მაგრამ მათაც ბიუროკრატიის მძიმე ხელი არ ასცდენია და მასთან ერთად არ ასცდა სიცოცხლის მოსპობაც.

დედა-ენასა და მაჰმადიანთა სარწმუნოებას აქაც ყოველთვის სდევნიდა კავკასიის ყოფილი მთავრობა. ყველაფერს რუსულად ასწავლიდნენ... და ასწავლიდნენ—რას? ზღაპრებს, არაკებს! არც ადგილობრივ ხალხის ზნე-ჩვეულების გაცნობა, არც კავკასიის გეოგრაფია, არაფერი! არაფერი, რასაც შეუძლიან რაიმე სარგებლობის მოტანა ადამიანისთვის!

ეს არის, ეს იყო კავკასიის მთავრობისაგან მაჰმადიანების მფარველობა წინად და ეს არ დავიწყებია არავის...

ცხადია, რომ ამნაირ პირობებში შეუძლებელია სწავლა-განათლების საქმის გაუმჯობესება კავკასიაში... ვინმე მაჰმადიანმა თუ მოისურვა მაჰმადიანებისთვის სასწავლებელი, ბიუროკრატია ყვირილს იწყებს, სეპარატიზმსა სწამებს ყველას, არ უნდა, რომ კავკასიელმა მაჰმადიანებმა ისწავლონ რამე!...

რამდენი წვალება, რამდენი თხოვნა დასჭირდა ბ-ნ თაღიევს, რომ მაჰმადიანთათვის ოთხ-კლასიან სასწავლებლის ნებართვა მიეღო!

მაგრამ ბ-ნ თაღიევი კიდევ ბედნიერია,—ბოლოს ნებართვა მიიღო მაინც. სხვებს ეს ბედნიერებაც არ მოსწრებიათ...

დღესაც კიდევ არ არის ნებადართული მაჰმადიანთათვის კავკასიაში სასულიერო სემინარია.

დაღესტნის ცნობილმა მოღვაწემ დაიდ-ბეგოვმა დღემდის ვერ მიიღო ნებართვა მაჰმადიანებში წერა-კითხვის გამავრცელებელ სასწავლებლის დაარსებისთვის...

განჯაში მაჰმადიანებმა პირველ-დაწყებითი სასწავლებელი დაიარსეს, მაგრამ მთავრობამ განჯელებს სეპარატისტობა დასწამა, ზოგიერთი ამ სასწავლებლის მეთაური გადაასახლა განჯიდან...

ასეთია მაჰმადიანების მდგომარეობა კავკასიაში, ასე ექცევა ბიუროკრატია მაჰმადიანებს...

მაჰმადიანები ითმენდნენ ამას, ითმენდნენ დღემდის, მაგრამ დღეს სხვა დრო დაგვიდგა და საჭიროა იცოდეს ყველამ, იცოდეს რუსეთის საზოგადოებამ, რომ ყოველ სიყვარულსა და ერთგულობასაც აქვს საზღვარი, რომ ყველაფერს ბოლო აქვს დედა-მიწაზე...

ბოლო აქვს იმიტომ, რომ მაჰმადიანებიც უნდა შეუერთდნენ საერდო საკულტურო მიმართულებას, თუმცა, საუბედუროდ, ზემოჩამოთვლილ მიზეზთა გამო, ჩამორჩნენ ყველას...

ამიტომ მეტი მხნეობა და მეცადინეობა სჭირიათ მაჰმადიანებს და ამიტომაც არის საჭირო, რომ ყველამ მათ ამ დიად საქმის შესრულება გაუადვილოს კავკასიაში... (რაზსვეტი).

ახმედ-ბეგ-აღაევი.

დეპეშა

რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

12 მაისი.

ბუდაპეშტი, 12 მაისი. პალატამ მიანდო კომიტეტს დამოუკიდებელ ავტონომიურის სადამოჟნო ტარიფის შემუშავება.

სტოკჰოლმი, 12 მაისი. ხმა დადის, 21 ივნისს შესდგება კრება რეიხსტაგისა უნიის შესახებ საკითხის გამოსარკვევად.

პარიზი, 12 მაისი. ინგლისიდან გასული 12 გემი, სამხედრო სურსათით დატვირთული, იაპონიაში მოვიდა.—იტალიის მეფემ ინახულა პრეზიდენტი საფრანგეთ-იტალიის ლათინთა ინტერესების დამცველ კომიტეტისა და აღუთქვა კომიტეტს თავისი დახმარება. რომის პაპმა იმპერატორს ვილჰელმს მეცში წარმოთქმულ სიტყვის გამო მადლობა უძღვნა.

ინგლისის მისსიის მდივნის ოფიციალურ ცნობების თანახმად, იაპონიაში ბაჟებმა ომის გამოისობით აუტანელ მდგომარეობაში ჩააგდო ხალხი. ბაჟებმა შარშანდელზე 80 % იმატა.

ერევანი, 11 მაისი. ერევნის გუბერნიის ქ. ნახიჩევანიდან იუწყებიან, ბაქოში მომხდარ ამბების შემდეგ, მაჰმადიანებმა ყოველი ღონე იღონეს, რათა სომხებთან კეთილ-განწყობილება ჰქონოდათ, მაგრამ სომხებმა სხვადასხვა სოფელში რამდენიმე მაჰმადიანი მოჰკლეს. მდგომარეობა საშიშოა და, თუ სომხებმა მაჰმადიანებზე იარაღით თავს-დასხმა არ მოსპეს, შეიძლება, მთელს გუბერნიაში დიდი არეულობა და სისხლის ღვრა მოხდეს.

კოვნო, 12 მაისი. უკანასკნელ დროს ადგილობრივ დიდს ქარხნებში მუშათა მოძრაობის ნიშნებია. მუშაობა ჯერ არ შეწყვეტილა.

მიტავა, 11 მაისი. ბალტიის მხრის სხვადასხვა კუთხიდან ცნობები მოდის, ბრბოს ძალდატანებით პასტორები წითელ ბაირაღებით ხელში მანიფესტანტებს წინ მიუძღოდნენო.

პარიზი, 12 მაისი. საფრანგეთ-ინგლის-იტალიის ხელშეკრულობას აბაშეთის შესახებ ხელის მოწერის შემდეგ ყველა სახელმწიფოებს წარუდგინეს.

[illegible], 11 მაისი. საერთო გაფიცვა. ვაჭრობა და ნავთსადგურის მოქმედება შეწყდა.

ბუდაპეშტი, 12 მაისი. ანდრაში დაბრუნდა ვენიდან ძალიან დაღონებული და განაცხადა, ვგრძნობ, რომ უნგრეთს რადაც უბედურება მოელისო.

ევპატორია, 11 მაისი. სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეების მშვიდობიანი გაფიცვა დაიწყო. ხელფასის მომატებასა და სამუშაო დღის შემოკლებას თხოულობენ.

ლოძი, 12 მაისი. ადგილობრივ ყასაბთა დეპუტატები გუბერნატორს წარუდგნენ და აუხსნეს ყასაბთა და მათ შორის ატეხილი განხეთქილება. გუბერნატორმა მოუსმინა, მიიღო მათი თხოვნა და შეჰპირდა, რაც კი სამართლიანი მოთხოვნილება გაქვთ ყველა, დაგაკმაყოფილოთ. ხორცის ნაკლებულობა საგრძნობელია.

ბელოსტოკი, 12 მაისი. მუშათა ხელფასის მომატებამ ადგილობრივ ქარხნებში დრაფის ფასი ხუთიდან ათ პროცენტამდე ასწია. საქონლის ნაკლებულობაა.

ბერლინი, 12 მაისი. ირწმუნებიან, რომ ოსმალეთ რუმინიის განხეთქილებას, გერმანიის სტამბოლელ ელჩის შუამდგომლობით, მორიგებით გაათავებენ.

ბერლინი, 12 მაისი. რეიხსტაგის სხდომები ოთხშაბათამდის გაგრძელდება. სესსია ოქტომბრამდე არ დაიხურება. იმედი აქვთ, რომ ბირჟის კანონის შეცვლას მოასწრებენ.

სოფია, 12 მაისი. სტუდენტი-ობსტრუქციონისტები ექიშპებიან არა ობსტრუქციონისტებს. გუშინ, კირილესა და მეთოდის დღესასწაულზე, როდესაც ალექსანდრეს ბაღთან, მთავრის სასახლის წინ, მინისტრებმა და დიდძალმა ხალხმა პარაკლისისათვის თავი მოიყარა, სტუდენტებს ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ. ერთმა სტუდენტთაგანმა რევოლვერი ისროლა, ერთი სტუდენტი დაჭრილია.

ენზელი, 12 მაისი. გუშინ შაჰმა დაათვალიერა ადგილობრივ ნავთ-სადგურის მუშაობა.

ყაზანი, 12 მაისი. უქმე დღეებში დასვენების შესახებ დადგენილებამ ზოგიერთი დაბრკოლებანი გამოიწვია. მაჰმადიანები უქმობენ პარასკეობით და ვაჭრობენ კვირაობით. პოლიცია მრავალ ოქმებს ადგენს. მაჰმადიანები ამბობენ, ჩვენი უქმეებიც რომ ვიუქმოთ და ქრისტიანებისაც, მაშინ ხომ სულ დავიღუპებითო.

ეკატერინბურგი, 12 მაისი. გაიფიცნენ თუჯის მადნების მუშები.

სარატოვი, 12 მაისი. შესდგა კავშირი სავაჭრო კონტორებსა და ბანკში მოსამსახურეებისა.

პეტერბურგი, 12 მაისი. დღეს ფინანსთა მინისტრის ამხანაგის კუტლერის თავმჯდომარეობით გაიხსნა კრება იმ კომისიისა, რომელმაც უნდა შეიმუშავოს შემოსავლის დაგვარად ბაჟების განაწილების საკითხი.

ბაქო, 12 მაისი. თავად ნაკაშიძის მოკვლის დაწვრილებითი ცნობა. თავადი 11 მაისს, შუადღის 3 საათზე, სპარსეთის კონსულიდან „მეტროპოლის“ სასტუმროში სპარსეთის ელჩის სანახავად მიდიოდა. ველიკოკნიაჟესკის პროსპექტის შესახვევში უცნობმა კაცმა ეტლს ყუმბარა ესროლა. აფეთქებულ ყუმბარის ხმა მოესმათ ქალაქის განაპირა ადგილებში. ახლო-მახლო მაღაზიებში შუშები ერთიანად ჩაილეწა. სამხედრო გუბერნატორმა გაზეთი „ბაკინსკია იზვესტია“ დახურა.

კიშინიოვი, 12 მაისი. გუბერნატორმა დამნაშავედ იცნო ებრაელ კლემანის ცემისა და მშვიდობიანობის დარღვევის გამო ორი აზნაური და ხუთი მოქალაქე და ორის თვით დაპატიმრება გარდაუწყვიტა. კლემანი რევოლვერის გასროლისთვის 25 მანათით დააჯარიმა.

კიევი, 12 მაისი. შაქრის ქარხნების პატრონთა კრებამ ქარხნებში 8 საათის სამუშაო დღე შემოიღო.

ბელოსტოკი, 12 მაისი. საბჭომ დაადგინა, განეცხადოს ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილესი გრძნობანი 17 აპრილის ბრძანების გამო, როთ-ც ადიარებულია სარწმუნოების თავისუფლება, გადაიხადონ სამადლობელი პარაკლისი და პუშკინის სასწავლებელში რვა სტიპენდია დააარსონ.

ხარკოვი, 12 მაისი. საგუბერნიო საგანგებო კრება ერობისა 12 ივნისისათვისაა დანიშნული.

ბუხარესტი, 12 მაისი. გაზეთები ერთხმად აცხადებენ კმაყოფილებას იმ უფლებათა გამო, რაც სულთანმა მაკედონიის კუცო ვლახებს მიანიჭა.

ვარშავა, 12 მაისი. „ვარშავის კურიერი“ იუწყება: გუშინ, საღამოს რვა საათზე, ზელიონი ქუჩაზე ახალგაზრდა ებრაელების ჯგუფი დასხმია დეგრის მძარცველებს და სუტენიორებს. ექვსი დასჭრეს. ესევე მოხდა გრიბნი მოედნის იქითა ქუჩებში. შეიარაღებული ებრაელები ხულიგანების სახლებში შეცვივდნენ და რამდენიმე დასჭრეს დანებით და რევოლვერით. ცხრა დაჭრილი კარეტით გაისტუმრეს საავადმყოფოში, ორი მძიმედ არის დაჭრილი.

გუშინ, საღამოს 10 საათზე, პრივისლიანის გზის სადგურ პრაგაზე უცნობმა რევოლვერით მოჰკლა დეპოს უფროსის თანაშემწე ანტონ შერი.

ტფილისი, 12 მაისი. ნამესტნიკმა გენერალი შირინკინი გაგზავნა ბაქოში თავად ნაკაშიძის მკვლელობის გამოსაძიებლად. ნაკაშიძე გზაზე მოუკლავთ, როდესაც ამილახვრის სახლიდან შინ მიდიოდა.

ბუხარესტი, 11 მაისი. კონფლიქტის შესახებ განმარტება წარადგინეს. განხეთქილება იანინის ვალის გამოუწვევია, რადგან დაუტუსაღებია და გაუძევებია სკოლის ინსპექტორები, ვითომც იმათ წაქეზებით მეხოვრენი ასაჯანყებლად. რუმინიის პროტესტი უყურადღებოდ დატოვეს. სტამბოლიდან მოსული ბრძანება იმათ განთავისუფლების შესახებ არ შეასრულეს. პორტას ბეჯითი მოთხოვნილებანი წარუდგინეს. ინსპექტორები გაანთავისუფლეს და იანინში დაბრუნდებიან. გამოცხადებულია ირადე, რომლითაც რუმინთა ეროვნება ოსმალეთში მუსულმანებად აღარ ითვლება, სკოლისთა წესები რუმინთა ენაზე შესრულდება და ადმინისტრატიულ კავშირებში წარმომადგენლობა ენიჭებათ. მინისტრის განმარტებას აღტაცებით მიეგებნენ.

ეკატერინბურგი, 12 მაისი. სისერტის სამთამადნო ზავოდებში მუშები გაიფიცნენ.

პეტერბურგი, 12 მაისი. გაზ. „რუსის“ თანამშრომელთან საუბრის დროს საზღვაო სამინისტროს გემეთუფროსი უარჰყოფს გავრცელებულ ხმებს როჟესტვენსკის ავადმყოფობაზე. ამისთანა ხმებს სიფრთხილით უნდა მოეპყრათ. როჟესტვენსკი თავის მოხსენებაში იუწყება, რომ თირკმლების სისნეულე მაწუხებსო, მაგრამ მისი ჯანსაღობა წასვლის მერე არ შერყეულა. ისევ თვითონ ხელმძღვანელობს ესკადრას და გულ-და-გულ მიჰყავს იგი დანიშნულ მიზნისკენ. ფლოტის მთავარ სარდლის დანიშვნა საჭირო იყო, რადგან როჟესტვენსკი ესკადრის მხოლოდ უფროსია. ველანი დარწმუნებულია, რომ როჟესტვენსკისა და ბირილიოვს შორის შუღლი არ ჩამოვარდება. ახლო მომავალში შეტაკებას უნდა ველოდეთ. პორტ არტურის ბედი აღარ განმეორდება. როჟესტვენსკის მრავალი საშუალება მოეპოვება, რომ იაპონელები საბრძოლველად გამოიწვიოს.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

12 მაისი

ნიუ-იორკი, 12 მაისი. „ესოსიეტედ პრეს“-ის ცნობა ზღვაზე ბრძოლის შესახებ მანილიდან იყო.

ლონდონი, 12 მაისი. გაზ. „მორნინგ პოსტის“ იაპონელ კორესპონდენტების აზრით, ზღვაზე შეტაკება სანგარის სრუტეში მოხდება. იმათისავე აზრით, საჭიროა რუსეთის ესკადრამ ეს გზა აირჩიოს, თუ ვლადივოსტოკში მალე სურს მივიდესო. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ იაპონიის რამდენიმე ქალაქს ყუმბარები დაუშინონ, თუმცა, კორესპონდენტთა აზრით, ტოკიოს ნავთსადგური საკმარისადაა გამაგრებული. ტოკიო და იოკაჰამა, ეჭვი არ არის, უვნებლად გადარჩებიანო.

ლონდონი, 11 მაისი. რადგან რუსეთის აგენტებმა ქვა-ნახშირი დაიკვეთეს ლონდონში და სურსათი მშვიდ ოკეანის ნავთ-სადგურში, ჩინეთსა და ავსტრალიაში, რაც დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნოს ნიკოლაევსკში (ამურზე), ჰფიქრობენ, რომ რუსეთ ნიკოლაევსკი საზღვაო ბაზად მიაჩნია როჟესტვენსკის ესკადრისთვის, უკეთუ ბალტიის ესკადრას 20,000 კაცისაგან შემდგარ ვლადივოსტოკში ვერ მოათავსებსო.

ლონდონი, მაისი. საფრანგეთის მთავრობამ აკრძალა ანამში იაპონურ გაზეთების, დროგამოშვებითი გამოცემისა და სამხედრო გრავიურების შეზიდვა. აგრეთვე იჭერენ წერილებსა და დეპეშებს. ომის დაწყებიდან საფრანგეთმა ჯარის რაოდენობა 20,000-დის გაიყვანა ტონკინსა და საიგონში.

მანილა, 12 მაისი. (რეიტერი). ვინაიდან ოფიციალურ დეპეშით იუწყებიან, 7 მაისს ბატანის კუნძულების აღმოსავლეთის სანაპიროებზე შეამჩნიეს 50 სამხედრო გემი, რომელიც ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ მიდიოდა. ჰფიქრობენ, ეს რუსის გემები უნდა იყვნენო.

სიტიაძა, 12 მაისი. მთელს ფრონტზე მოწინავე რაზმთა შორის პატარ-პატარა შეტაკებანი ხდება. იაპონელებმა დაჰკარგეს 40 კაცი და სოფელ კანჩენძისკენ დაიხიეს. სოფელ კაუდიტენთან რუსები დაეცნენ იაპონელების სადარაჯო რაზმს, რომელიც 10 კაცისაგან შესდგებოდა. სამი მოჰკლეს, ორი ტყვედ წამოიყვანეს, სხვები გაიქცნენ. როგორც ამბობენ, იაპონელები რუსის ჯარს გვერდიდან შემოუვლიან.

ნაგასაკი, 12 მაისი (რეიტერი). 7 მაისს, დილის 9 საათზე, ბატანის სრუტეში გაჩერდა რუსეთის გემი „ოსკარ მეორე“. გემმა შეამჩნია თოთხმეტი მაშველი კრეისერი და ექვსი ნაღმიანი გემი.

ჩიფუ, 12 მაისი. ჩინელების სიტყვით, მუკდენიდან ფუშუნის მადნებამდე ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა გაიყვანეს. მადნებში გაცხარებული მუშაობაა.

შანხაი, 12 მაისი. ორ სამინისტრო სკოლის სტუდენტებმა უარი განაცხადეს სწავლის გაგრძელებაზე, სანამ ამერიკა არ გააუქმებს ჩინელთა შემავიწროებელ კანონს. ეს კანონი ჩინელების მხრივ დიდს წინაღმდეგობას იწვევს. იაპონიის გავლენა აქაც ეტყობა.

(დანარჩენი დეპეშები იხილეთ მე-4 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

მომავალი ბრძოლა ზღვაზე. პეტერბურგიდან „მატენ“-ს ატყობინებენ: კაპიტან კლადოს აზრით, ეხლა, როცა როჟესტვენსკისა და ნებოგატოვის ესკადრები შეერთდნენ, როჟესტვენსკი პირდაპირ ჩრდილოეთისკენ გასწევს. სანამ რუსეთის ესკადრა იაპონიის ნაპირებთან ივლის, იაპონელთა ნაღმოსნები არ მოასვენებენ და საქმეს გაუჭირებენ. მერე კი, როცა ესკადრა იაპონიაში ავა, ადმირალი ტოგოც მაშინ გამოვა ბრძოლის ველზე და შეებრძოლება. მართალია, ტოგოს იმდენი ჯავშნოსანი არა აქვს, რამდენიც როჟესტვენსკის, მაგრამ, სამაგიეროდ, რუსებზე გაცილებით მეტი ჯავშნიანი კრეისერები აქვს, რომელნიც ახლები, კარგად შეიარაღებულნი, მოზრდილნი არიან და ჯავშნოსნებსაც თითქმის არაფრით ჩამოუვარდებიან. კლადოს აზრით, ტყუილია ის ცნობა, ვითომ ჯავშნოსანი „იაშიმა“ დაღუპულიყოს; რუსების კრეისერები „ვლადიმირ მონომახ“-ი და „დიმიტრი დონსკოი“ საბრძოლველად არ ვარგანან. ასეა თუ ისე, ადმირალმა როჟესტვენსკიმ რომ გაიმარჯვოს კიდევაც, მცურავ ნაღმებისაგან და იაპონელთა კრეისერებისაგან ისე დაზიანდება, რომ, სანამ ვლადივოსტოკში ავიდოდეს, ბევრ გემს დაჰკარგავს და, რაც გადარჩება, ისე იქნება დაზიანებული, რომ იმათი შეკეთება რამდენსამე თვეს ვერ გათავდება. როჟესტვენსკის სულ ორიოდე პაწაწა დოკი აქვს, ასე რომ, სანამ ორიოდე გემს შეაკეთებდნენ, დანარჩენებმა უნდა იცადონ. ადმირალ ტოგოს კი ორმოცამდე დიდი და პატარა დოკი აქვს და, თუ საჭირო იქნება, ერთსა და იმავე დროს მთელს თავის ფლოტს შეაკეთებს. სწორედ ამით აიხსნება, რომ ტოგო ამ დოკებს არ დაშორდა და როჟესტვენსკის ნებოგატოვთან შეერთების ნება მისცა (ს.).

ზავი. ვაშინგტონიდან „მატენ“-ს დეპეშით ატყობინებენ: ზავის შესახებ იაპონიამ გადაჭრით აღიარა: სანამ ადმირალი ტოგო როჟესტვენსკის არ გაუსწორდება, იაპონია არავითარ მოლაპარაკებას არ დაიწყებს; როცა ზავის ჩამოგდების დრო მოვა, იაპონია არავის შუამდგომლობას არ მიიღებს და თვითონვე მორიგდება რუსეთს. მაგრამ, თუ რუსეთმა ამერიკის პრეზიდენტის რუზველტის შუამავლობა ინდომა, იაპონია დიდის სიამოვნებითა და დიდის ყურადღებით მოისმენს პრეზიდენტის სიტყვას (ს.).

ჩერნოგორელის აზრი იაპონელების შესახებ. მანჯურიაში მყოფი ერთი ჩერნოგორელი მანჯურიიდან შემდეგს იწერება:

„იაპონიამ თავისი ცოდნა, მომზადება, უნარი და სიმამაცე მთელს ქვეყანას დაუმტკიცა. მთელი თანამედროვე ტეხნიკა და ხელოვნება იაპონელებმა განახორციელეს, პრაქტიკაზე გადაიტანეს და მანჯურიაში მოიხმარეს. თავის სიმამაცითა, გამბედაობითა და ვაჟკაცობით იაპონელები ისე მაღლა სდგანან, რომ მთელს ქვეყანაზე ვერც ერთი ერი ვერ შეედრება. ამას მათი მაღალი კულტურაც დაუმატეთ და მაშინ ნათლად დაინახავთ იმ მიზეზებს, რომელმაც იაპონიის ჯარს პორტ-არტური, იალუ, ლიაოიანი, შახე და მუკდენი აკუთვნა ბრძოლაში იაპონელს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი: ან სიკვდილი, ან გამარჯვება. იაპონელი მტერს არასდროს არ დანებდება და რუსების უბედურებაც სწორედ ამაშია. შახეზე რუსები მედგრად იბრძოდნენ, მაგრამ იაპონელები ლომებივით იდგნენ და ადგილიდან ფეხიც არ მოიცვალეს. რუსებმა აქა-იქ მხოლოდ ის პოზიციები აიღეს, სადაც იაპონელები მთლად ამოსწყდნენ. იღუპებიან, სწყდებიან, მაგრამ ტყვედ კი არ ნებდებიან. ჩემის აზრით, ევროპაში იაპონელთა ამ თვისებას დღესაც შესაფერ ყურადღებას არ აქცევენ. მით უფრო ცუდი იმ ერისა-

ფელეტონი

„ოჯახის თვალი“

მოთხრობა.

(ვუძღვნი ჩემს მეგობარს სალომე კერესელიძე-ბაქრაძისას)

I

ჯერ ასეთი არეულ-დარეულობა, ხალხთმჩაგვრელების მკვლელობა და შიშიანობა არ იყო გავრცელებული, როცა თაბაძიანთ დათამ, რომელიც ბოქაულის თანაშემწედ მსახურებდა ქალაქ №-ში, მაინც თავისი გაიტანა, ტყავიდან გაძვრა და სახელგანთქმული „საეჭვო კაცი“ დაიჭირა. დათას სახლობამ რომ ეს ამბავი გაზეთებიდან ამოიკითხა, სიხარულით დაფორიაქდა და სიამაყით გაივსო. მთელს ოჯახს, დედა-ბუდიანად, ისეთი აღტაცება ეტყობოდა, გეგონებოდათ, ქორწილისათვის ემზადებიანო. იმ დღეს ფეხი არ ჩაუკეციათ, ჟივილ-ხივილით, გიჟებივით, წამ-და-უწუმ ოთახიდან-ოთახში გადიოდნენ, მთვრალებივით ერთმანეთს ეხლებოდნენ, უზიარებდნენ თავიანთ ბედნიერებას მეზობლებს და იღებდნენ მოლოცვას. ზედ დატანებაზე შვილისაგანაც მიიღეს შემდეგი წერილი: „საყვარელნო დედავ, მამავ, დებო და ძმებო! მომილოცეთ! სანამ ეს წერილი მოგივათ, იქნება გაზეთებიდანაც გაიგოთ, რომ მე გავიმარჯვე და „ნაკონეც-ტო“ დავიჭირე ის მამა.. (აქ ცხარე გინება იყო ჩართული), რომელსაც, ამდენი ხანია, უნაყოფოდ დასდევდა და ეძებდა აქაური პოლიცია“...

— ყველა შენსავე ყოჩაღი და სამსახურში მუყაითი კი არ არის,—გენაცვალოს და თავს შემოგევლოს დედა! ყველა შენ კი არა გგავს!—დაარღვევია წერილის კითხვა აღტაცებულმა ეფემიამ.

— ი რაა—სხვა ბიჭია, სხვა შვილია, სხვა ქვეყნის კოლოფია! მამაცობაში, ოსტატობაში იმას ვერავინ შეედრება!—კმაყოფილებით ამბობს გახარებული ალექსანდრე—დათას მამა.

— ყოჩაღ, დათა!—„მალადეც“ დათა! დახე ჩვენ დათასა! ბიჭოს! ჰე, ჰე, ჰე,!—ტაშის კვრით იძახიან დათას დები და ძმები.

„ვერ წარმოიდგენთ—ეწერა შემდეგ წერილში—როგორ შეშურდათ ჩემს ამხანაგებს, როცა გუბერნატორი სიხარულით გადამეხვია, მაკოცა და „ჩინზე“ წარდგენას დამპირდა!“...

— ოი, ვენაცვალე ბიჭსა, ბიჭსა, ბიჭიკოსა, რო მალე „სტარში პრისტავობას“ მიიღებს და მთელს ოჯახს გვაპარპაშებს! ალექსანდრე, მაშინ ნახე მტრის თვალების დაბრმავება!

— არ გიხარიან, ყველა ფეხ-ქვეშ გაგვეგება! ასეთი ძალა ექნება მაშინ ჩვენს დათას, რომ მტერიცა და მოყვარეც ჩვენი თვალ-წარბში მაცქერალი გახდებიან; ჯამაგირი და შემოსავალი ხო ერთი-ორად გაუხდება.

— ნეტა აქეთ გადმოიყვანონ?—ნატრობდნენ დათას დები და ძმები, მაგრამ დედ-მამა დიდ უარზეა, რადგან კარგად შეუგნიათ, რომ „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“-ო და „შორიდან უფრო პატივი ექნებაო“.—„ამხანაგებიც მილოცავდნენ,—განაგრძო წერილის კითხვა ბაბომ (თაბაძიანთ უფროსმა ქალმა),—მკოცნიდნენ, მაგრამ გულში კი სიბრაზითა სკდებოდნენ, რომ მე და არა იმათ ჩავიგდე ხელში მაგისთანა შესანიშნავი დამნაშავე»...

— ჰაი, ჰაი, მაგრამ ვერ მოგართვეს ბადრიჯანი!—ნიშნის მოგებით წამოიძახა თითქმის მთელმა ოჯახმა.

„ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ უფროსები „ტუზემცობას“ აღარ დამაყვედრიან, რადგან დაჭერილი ტომით ქართველია, და უთუოდ წინ წამწევენ“...

— ქართველობა რას მიქვიან?!—მრისხანედ ამბობს ეფემია,—ჩემი ძმაც რო იყვე, როცა დამნაშავე ხარ, უნდა გაგცე! ი, შენ ფიასა! ეგრე რო მივყვეთ, ხო ლუკმასაც ვერავინ შესჭამს!

— ხელმწიფის მოსამსახურემ შინაური და გარეული არ იცის!—ბანს აძლევს ქმარ-შვილი:—ფიცი აქვს მიცემული და სიკვდილამდინ ვერ უღალატებს. მაშ ჯამაგირსა და „ჩინებს“ რაში იღებს? „აი, როცა „სტარში პრისტავობას“ მივიღებ, მაშინ გაჩვენებთ, მე ვინა ვარ! ისეთ ქეიფებს გაგაწევინებთ, რომ, მგონი, სულ „არ მინდა“ იძახოთ.

ამ დაპირებამ ხომ მთელი ოჯახი კინაღამ ჭკუიდან შეშალა! ისეთი სიამოვნების ღიმილი დ ნერწყვი მოუვიდათ, რომ წერილის დამთავრება ველარ შესძლეს და ცოტა ხანს იქით გადასდეს.

— ოი, შენ კი გენაცვალოს დედა, რო ოჯახის ნუგეში და თვალი ხარ! მშობლების პატივი იცი!—აღტაცებით წამოიძახა ეფემიამ.

— ღმერთმა ტკბილად ჩემ ხნად მოგყაროს, შვილო! ღმერთმა სამაგიერო ერთი-ორად გადაგიხადოს! მადლობა შენ, უფალო, რო ამ სიბერის დროს ეგრეთი ბოძი გამიჩინე!—პირჯვრის წერით ამბობს ალექსანდრე და თან სიხარულის ცრემლებს იწმენდავს.

— აი, მაგისთანა შვილი დაიკვეხოს მამამ! ეგ რო არ გამჩენოდა, აქამდინ ჩემი ძვლებიც აღარსად იქნებოდა!

ქება-კურთხევას „ოჯახის თვალს“ არც ძმები და დები აკლებდნენ.

„სხვა...ა, თქვენ როგორ-ღა ხართ?—ეწერა წერილის ბოლოში,—მოგივიდათ თუ არა ჩემი გამოგზავნილი „პასილკა“? ამ კვირიაც ისეთი „ზაპასები“ შემომივიდა მედუქნეებისაგან, რო თითებს დაიკვნეტავთ“!..

— მედუქნეებსაც რო უყვართ! უცხოსთვისაც რო თვალში ჩავარდნილია, ენაცვალოს დედა!

— მა-რა, ხალხზე რო დამპალ-დუმპალს ასაღებენ, საფერავი აქვთ თუ არა? დათამ რო მოინდომოს, ხვალვე „პროტოკოლს“ შეუდგენს, დუქნებს ჩაუკეტავს და ციხეში ამოაყოფინებს თავსა!—უხსნის უფროსი ვაჟი, მიხა.

— რათა, შვილო, რას ერჩის? თუ კი სამსახურს არ ავნებს, რა ენაღვლება, იმათაც არგოს, თითონაც ხელი მოითბოს. ურიგოა მსუქან-მსუქანი გელაქნურები და ოირაგულები?—ტუჩების წმაწუნით ეუბნება მადაზე მოსული ალექსანდრე. „ხვალ საღამოს მე თითონ მანდ გავჩნდები და ყველაფერს ჩამოგიტანთ. მანამდე კი მშვიდობით. აკოცეთ ჩემს მაგივრად ბაბოს, კატოს, მიხას, ტატეს. მოიკითხეთ ნათესავები და ნაცნობები. თქვენი შვილი—„ბუდუშჩი პოლიცმეისტერ“—დათა თაბაძე. ამ ორ რუსულ სიტყვაზე მთელმა ოჯახმა ნეტარების ღიმილით „ამინ! ამინ!“ წამოიძახა. ყველა სათითაოდ, როგორც სახარებას, მოწიწებით ემთხვია ძვირფას წერილს, რომლის დასაკუთრებაშიაც ერთმანეთს ეცილებოდნენ.

— ეს წიგნი გუშინ არი მოწერილი, მაშ ამაღამ აქ იქნება, ენაცვალოს დედა! ასეთი ვახშამი დავახვედრო, რო თვალით გაძღეს! აბა, ალექსანდრე, გაიქე და მსუქან-მსუქანი ღორის სამწვადეები და ცოცხალ-ცოცხალი ოხის თევზი იყიდე—ხომ იცი, ჩვენს ბიჭიკოს უყვარს. მე მანამ ინდოურსა და ღედალს მოვამზადებ. წადი, მიხა, ხელად აასაკლავე. შვილო ბაბო, შენ შაშხი დაალბე. კატო,—მიუბრუნდა ეფემია უმცროს ქალს,—გაიქე მარანში და ყველანაირი ხილეულობა და წნილეულობა ამოიტანე. ალექსანდრე, თავი-და-თავი თეთრი ღვინო რო გაქვს ორკოკიანში, ის მოხადე—ხო იცი, ცოტა ნუნუას გადაკვრა უყვარს, ენაცვალოს დედა!

— ეგ ყველა კარგი, მაგრამ ე ინდოური რაღად გინდა, ადამიანო? ხორაგეულს ხო თითონაც მოიტანს და, ვინ, უნდა სჭამოს?—გაოცებით ეკითხება ქმარი

— როგორ თუ „ვინა“?! თვეში ერთხელ ძლივს დაგვენახვება ხოლმე, მოუკვდეს იმას დედა, და მაშ სტუმრებიც არ დავუპატიჟო? ნათესავები და ნაცნობები ისედაც კბილებს გვილესავენ—„ერთხელ დათასთან არ დაგვიძახებენ, თითქო ღირსი არ ვიყვეთ“-ო, და ეხლა ხო სუ ჩაგვქოლეს და ყბად აგვიღეს! ამისთანა ბედნიერება კარს მიადგათ და ერთი ლუკმა პური დაიშურეს“-ო! შვილო, ტატე, გაიქე, ამაღამისთვის ჩაიზე და ვახშამთა სთხოვე: ბერუაანთა, სეხნაანთა, ლაბაანთა...

II

სანამ ესენი ამ მზადებაში არიან, აქ ურიგო არ იქნება, უფრო ახლო გავაცნოთ მკითხველს თაბაძიანი, მეტადრე მათი „თვალი“ და „ვარსკვლავი“—შუათანა ვაჟი, დათა.

ალექსანდრე თაბაძე, როგორც ხელ-მოკლე აზნაური, სანამ შვილები წამოიზრდებოდა, ზამთარ-ზაფხულობით თავის ცოლ-შვილით ცხოვრობდა სოფელში, მამა-პაპეულ მინგრეულ-მოინგრეულ სახლში. მერე კი, როცა შვილებს სწავლის დრო მოუვიდათ, ახსენა ღმერთი, ჩავიდა იქვე ახლო-მახლო მდებარე პატარა ქალაქ მ—ში, დაიჭირა სახლი და მიაბარა შვილები სკოლაში. რადგან ქალაქში ცხოვრება უფრო გაუჭირდათ, თაბაძიანი სული-სულზე მოელოდნენ შვილებისაგან სწავლის დამთავრებას, რასაც ბოლოს, როგორც იქნა, ეღირსნენ: ქალები, ქმრების მოლოდინში, დასხდნენ სახლში, დღისით შველოდნენ დედას, საღამოთი მასთან ერთად დადიოდნენ „ლოტოზე“ და ქორაობდნენ. ვაჟები კი შევიდნენ „პისრებად“ სამსახურში: უფროსი—მიხა „სუდში“, შუათანა, დათა—პოლიციაში, უმცროსი, ტატე—რკინის გზაზე. უნდა მართალი სთქვას კაცმა, შვილები ხედავდნენ დედმამის გაჭირვებულ მდგომარეობას და თავის პატარა ჯამაგირს სულ შინა ხარჯავდნენ.

თაბაძიანთ საქმე მაშინ ხომ სრულებით გამოკეთდა, როცა დათა, თავის მეცადინეობით, გამჭრიახობითა და უფროსების ფეხების ლოკვით, „პისრობიდან“ ჯერ „ოკოლოდოჩნიკობაში“ და შემდეგ პრისტავის „პომოშნიკობაში“ გადასკუპდა. უნდა გენახათ მშობლების აუწერელი სიხარული და ბედნიერება, როცა პირველსავე კვირა დღეს პატარძალივით მორთეს შვილი ახალ მუნდირში და „მტრის თვალების დასაბრმავებლად“ საყდარზე წაიყვანეს! მართალი მოგახსენოთ ბრჭყვინვალე ტანისამოსმა და პირველმავე ქრთამმა მონათლა დათა „ოჯახის თვალად“. მთელი სახლობა, ვით საოცნებო მოჩვენებას, პირდაღებული, აღტაცებით შესცქეროდა და ყურებით ვერა ძღებოდა. ერთი-ერთმანეთს აღარ აცლიდნენ და წამდაუწუმ ხან ხმალზე, ხან პაგონებზე და ხან კაკარდაზე მოწიწებით ხელს უსვამდნენ. თან „აფიცერ“, „პოლკოვნიკ“, „გუბერნატორს“ ეძახდნენ. დათა კი, ულვაშების გრეხით, თავმომწონედ იღიმებოდა, ტიკივით იბერებოდა და ფარშავანგივით თავის ზიზილ-პიპილებს დასცქეროდა.

საყდარში რომ შევიდნენ, იქ მყოფ ხალხს ისე მედიდურად გადახედეს, თითქო დღეის იქით აქ ჩვენა ვართ და იქ—ხელმწიფეო! თვითონ დათა, გაქარხლებულის თვალებით (ახლად მინიჭებული წარჩინების ძალა აღარ ეტევოდა ყელში), ისე ამაყურად უცქეროდა ყველას, რომ გეგონებოდათ, პორტ-არტური ამას აუღიაო! ისიცა და მისი მშობლებიც მხოლოდ მდიდარ და ლამაზ გასათხოვარ ქალებს, და მათ პატრონებს არჩევდნენ და დიდმნიშვნელოვნად უღიმოდნენ. ბევრ მშობელს, მეტადრე ვისაც გასასაღებელი ქალი ბლომად ჰყავდათ, აღეძრა იმედი, ახლა კი გვიშველა ღმერთმა,—მეტ ბარგს ზურგიდან მოვიშორებთო, და, როცა წირვა გამოვიდა, ბუზანკალივით მოეხვივნენ თაბაძიანთ, თავს ევლებოდნენ, ულოცავდნენ დათას წარჩინებას და მკაფიოდ ასმენდნენ, ახლა კი ცოლის შერთვის დროაო, შვილისთვის რომ „ნიხრი“ აეწია, ეფემია კავების გრეხით ყველას ასე უპასუხებდა,—რა ეჩქარება, გეთაყვა, მოესწრება. როცა კი მოინდომებს, ენაცვალოს დედა, ათას თუმნიან ქალსაც არავინ დაუჭერს!

პირველ ხანებში ყველას ძალიან უკვირდა დათას ასე უეცრად წინ წაწევა —„პრისტავის“ თანაშემწედ დანიშვნა, ისიც ქალაქ №-ში! მაგრამ ეს ადვილი ასახსნელი იყო: სადაც სხვას დიდი პროტექცია დასჭირდებოდა, იქ დათას სულ სხვა ხერხი მოუნდა, რაშიაც თვით სახლობაც კი ხელს უწყობდა. საოცარია, მას შემდეგ, რაც დათამ პოლიციაში თავი შეჰყო, თითქმის მთელი ოჯახიც ცხარე მონაწილეობას იღებდა მის სამსახურში; დედმამა, დები და ძმები, გაფაციცებით ყველას თვალს ადევნებდნენ: ვინ რას ამბობს და აკეთებს, სადა და ვისთან დადის,—სულ ყველაფერს, დეპეშასავით, ფიცხლავ დათას უტუნტულებდნენ!

ისინი დღე და ღამ სულ იმის ფიქრში იყვნენ,

თვის, რომელსაც მომავალში იაპონიასთან საქმე ექნება“ (რ.).

მანჯურიაში. „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი ლოდიჟენსკი გუნჟულინიდან დეპეშით იუწყება: ხმა დადის, იაპონელები ჩვენი მარცხენა ფრთის პირდაპირ დიდ ჯარებს აგროვებენ და საბრძოლველ რიგზე აყენებენო. ამ მხარეზე იაპონიის ჯარის ფრონტი თანდათან კორეისკენ გრძელდება. ჩინელები ამბობენ, ეგ ცნობა მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ იაპონელებმა რუსების მარჯვენა ფრთის პირდაპირაც აუარებელ ჯარს მოუყარეს თავი, ფრონტი მონგოლისკენ გაჭიმეს და რუსებს რაღასაც უმზადებენო. აქამდის ვერ გაგვიგია, საიდან მოიტანენ იაპონელები მთავარ იერიშს და რომელ მხარეზე მოახდენენ დემონსტრაციას. თუმცა კი წინანდელ მაგალითებიდან სჩანს, რომ იაპონელების დემონსტრაციაც სახიფათო და სერიოზული ყოფილა. რუსეთის ჯარის შტაბში ამბობენ, იქნება ჩვენმა ჯარმა ეხლაც უკან დაიხიოს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ დიდი ბრძოლის შემდეგ დაიხევს უკანაო. ამ ბრძოლას ომის მომავალზე და ბოლოზე დიდი გავლენა ექნება (ნ. ვ.).

„რუს“-ის კორესპონდენტი როსტოკცევი იქიდანვე იუწყება: საქმე თანდათან მწვავდება. ვგრძნობთ, რომ დიდი ამბები უნდა მოხდეს, დღეს თუ ხვალ მთელ ფრონტზე ბრძოლა ატყდება. ყველა ელის ამ ამბავს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყველას მაინც ისევ მუკდენის დამარცხება ადგა ენაზე. ყველგან ამ საშინელ ბრძოლაზე ლაპარაკობენ: პოზიციებზე, ხარბინში, შტაბში და მიწურებში.

ხარბინში არაკული ქეიფი და ლხინია: ცირკები, თეატრები და კაფე-შანტანები დღე და ღამ ხალხით გატენილია. კაფე-შანტანებს ხომ მოსვენება აღარ აქვთ. საქმის მოყვარენი საოცრად მდიდრდებიან. ფული იმდენად იაფია, რომ რესტორანის ლაქია თვეში 500 მანათს ადვილად შოულობს. რესტორანების პატრონებზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს: ფულს ორივ ხელით ხვეტავენ (რ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ნახიჩევანი, 13 მაისი. ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა, მხოლოდ აქა-იქ თოფის სროლა ისმოდა. მოკლული, დაჭრილი და ცეცხლში დამწვარი ასზე მეტია. ექიმები არ არიან. საჭმელი ცოტაა. დღეს დილის ყველა ისევე ხოცვა ჟლეტის დაწყებას ელის. თითქმის ყველა დუქანი დამწვარ-დარბეულია. დღეს ქალაქის ახლო-მახლო სოფლებში დაიწყო სისხლის ღვრა. მოკლული ბევრია.

ახალი ამბავი

,,ტფ. ლ.''-ი გადმოგვცემს თავ. ნაკაშიძის მოკვლის შესახებ დაწვრილებით ცნობებს. თ. ნაკაშიძემ სენატორ კუზმინსკისთან დაჰყო 1 საათი, რის შემდეგ წავიდა გენერალ-გუბერნატორ თავ. ამილახორთან, რომელიც სახლში არ დახვდა. გუბერნატორი გამოტრიალდა და სახლისკენ გაემართა. ეტლში უჯდა სტრაჟნიკი. 3 საათსა და 15 წუთზე ,,გრანდ-ოტელისა'' და ,,მეტროპოლის'' სასტუმროებს შუა გამოსროლილმა ყუმბარამ იფეთქა. ნაკაშიძე იქვე მოკვდა. იქვე მოკვდა სტრაჟნიკიც. მეეტლე შორს გადავარდა და სასიკვდილოდ დაიჭრა. მოკლულ იქმნენ აგრეთვე ორი მაჰმადიანი-მეხილე, რომლებიც ახლოს მიდიოდნენ. ეტლი ოდნავ დაზარალდა. ახლო-მახლო მაღაზიებში შუშები ერთიანად ჩაიმტვრა. მოკლულ გუბერნატორის გვამი ეტლით სახლში წაასვენეს. იმ ადგილას დაუყოვნებლივ მოვიდნენ თავ. ამილახორი, პროკურორი, პოლიცია და მთავრობის მოხელენი. მაჰმადიანთა და სომხების დუქნები მსწრაფლ დაიკეტა. ქუჩებში გაჩნდნენ სამხედრო დარაჯთა რაზმები. მკვლელი ვერ აღმოაჩინეს. ეჭვი აქვთ, რომ ყუმბარა ერთ-ერთ სასტუმროს ფანჯრიდან გადმოისროლეს. ხუთშაბათს ქუჩებში მშვიდობიანობა იყო. დუქნები გაიღეს. დაჭრილი მეეტლე ჯერ ისევ ცოცხალია.

✦ ნახიჩევნიდან ,,ტფ. ლისტ.''-ს დეპეშით ატყობინებენ: 12 მაისს, დილის 10 საათიდან, მთელს **ქალაქში თოფის სროლაა.** მაჰმადიანები სძარცვავენ დუქნებს, ვაჭრობა შეჩერდა. რკინის გზის საავადმყოფოები უსურსათოდ დარჩნენ.

✦ ცნობილმა და დიდად გავლენიანმა ერევნელმა ხანმა **პაპახან მაკინსკიმ**, რომელიც ამჟამად ტფილისში იმყოფება, **დეპეშით სთხოვა ნახიჩევნელ რაგიმ-ხანს**—ყოველი ზომები მიიღე ძმათა-ჟლეტის მოსასპობლადო.

✦ როგორც მკითხველებმა იციან, კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე გენერალ-მაიორი შირინკინი ამ დღეებში ბაქოს წავიდა თავ. ნაკაშიძის მკვლელობის გამოსაძიებლად. როდესაც მატარებელი სადგურ ფოილოში მივიდა, ლიანდაგზე შენიშნეს კალათა, რომელშიც ყუმბარების მსგავსი რკინის კოლოფები ეწყო. ამის გამო ტფილისიდან დეპეშით გამოიხმეს კომისია, **ჟანდარმთა უფროსისა, ტეხნიკოსების, პროკურატურისა, რკინის გზის უფროსისა და სხვათაგან შემდგარი.** კომისია სწრაფის მატარებლით ფოილოში დაუყოვნებლივ გაემგზავრა, გასინჯეს კალათა და თუნუქის კოლოფებში უბრალო წყალი გამოდგა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ამგვარის კოლოფებით თათრებს მექიდან მოაქვთ ხოლმე წმინდა წყალი.

✦ როგორც ბაქოდან გვატყობინებენ, 12 მაისს იქ **შეუპყრიათ ვიღაც უცნობი კაცი,** რომელზედაც **ეჭვი აქვთ,** რომ ის უნდა იყოს ბაქოს გუბერნატორის თავ. მ. ა. **ნაკაშიძის მკვლელიო.**

✦ გუშინ, 13 მაისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში **გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი** ახლად გარდაცვალებულ ბაქოს გუბერნატორ თ-დ ნაკაშიძისა. პანაშვიდს დაესწრნენ კავკასიის ნამესტნიკი, მისი თანაშემწენი გენერალი მალამა და სულთან-კრიმ-გირეი, წარმომადგენელი ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა, ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი ტროფიმოვი და გარეშე ხალხი.

✦ გუშინ-წინ, 12 მაისს, როდესაც წმ. ნინოს სასაფლაოზე ასაფლავებდნენ ერთ იმ ბრბოელთაგანს, რომელიც დიდუბის მოედანზე ამ დღეებში მოჰკლა ყიფიანმა, რკინის გზის სახელოსნოების და დეპოს მუშებმა ხელი აიღეს მუშაობაზე, მივიდნენ სასაფლაოზე და...

✦ ტფილისის ქალაქის მოურავმა ქ. ა. ვერმიშევმა გუშინწინ წარუდგინა ტფილისის გუბერნატორის მოადგილეს **ქალაქის თვით-მმართველობის შუამდგომლობა:** მეეზოვენი განთავისუფლებულ იქმნან პოლიციის სამსახურიდან და ნება მიეცეთ სახლების პატრონთ მეეზოვენი თავის სურვილისამებრ დაიქირავონო (კავკ.).

✦ სამტრედიიდან გვატყობინებენ: სოფ. საჯილაოში **კაზაკებს დიდი უწესოება მოუხდენიათ.** ამ ამბავს თურმე მთელი სოფელი აუღელვებია.

✦ 20 მაისს, **ვეტცელის თეატრში, ქართველ მსახიობთა** მონაწილეობით და მეთაურობით, წარმოდგენილ იქნება ვალ. გუნიას დრამა **„და-ძმა“.**

✦ როგორც გავიგეთ, ბ-ნი **ფილიმონ ქორიძე ამჟამად ნოტებზე სწერს სიმღერებს, რომელიც** ახასიათებს დღევანდელს მოძრაობას საქართველოში.

✦ სოფელ **ატოციდან** (გორის მაზრა) გვატყობინებენ; ერთხანად **აღელვებული ხალხი დამშვიდდა** და მშვიდობიან მოქმედებას შეუდგა. პირველ ხანს სასოფლო კანცელარია გაუქმებულ იქმნა, მაგრამ აქედ ბოქაულმა გამოიარა და დახურული კანცელარია ხელ-ახლად გაახსნევინა. ხალხს წინადადება მისცა, მამასახლისისა და მწერლის ფული კვლავინდებურად უნდა გადაიხადოთო. ხალხი კანცელარიის აღდგენაზე არას ამბობს, ხოლო მამასახლისის ფულის გაღებაზე დიდს უარს აცხადებს. სოფლის კანცელარიაში საჩივლელად თითქმის არავინ დაიარება.

✦ როგორც ტფილისის **საგუბერნიო სამკურნალო გამგეობის** ცნობებიდან სჩანს, **დუშეთის მაზრის** რამდენსამე სოფელში **გადამდები ავადმყოფობა** აღმოჩენილა. სამკურნალო გამგეობამ ამ სოფლებში მკურნალი გაგზავნა ავადმყოფობის გამოსარკვევად და მის წინააღმდეგ ღონის-ძიებათა მისაღებად.

✦ დაჟინებით ლაპარაკობენ, **ტფილისში ,,ხულიგანთა'' რაზმი შესდგა** და მცხოვრებლებზე თავ-დასხმას აპირობსო.

✦ გუშინ, 13 მაისს, საბჭოს დარბაზში **ნაძალადევ სახლისპატრონებს კრება ჰქონდათ** და ხელმეორედ მოთხოვნილებანი შეიმუშავეს ქალაქისათვის უფრო მსუბუქ და ხელსაყრელ პირობებით.

✦ ქალაქ ორშიდან (მაგილიოვის გუბერნია) ბ-ნმა ეიგოდსკიმ **დეპეშით სთხოვა ქალაქის გამგეობას, შეატყობინოს—უფლება აქვთ თუ არა ებრაელებს** ქალაქის მიერ დანიშნულ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღონო. ქალაქის გამგეობამ შეუთვალა: ჩვენ ყველა ნაციისა და სარწმუნოების მოქალაქე თანასწორად მიგვაჩნიაო“.

✦ განზრახულია ივნისის პირველ რიცხვებში მოიწვიონ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. როგორც გადმოგვცეს, ქართულ **დრამატიულ საზოგადოების გამგეობა** აპირობს ამ კრებას თეატრის შენობის საჭიროებაზე თავისი მოხსენება წარუდგინოს.

✦ კვირას კრება ექმნება ტფილისის საგუბერნიო **სამკურნალო გამგეობას.** გამგეობა მოილაპარაკებს იმის შესახებ, **თუ რა დროიდან დაიწყოს მოქმედება ხოლერის წინააღმდეგ.**

✦ დაბა **ხაშურიდან** გვწერენ: კარგა ხანია, აქ ახალგაზდათა ერთმა ჯგუფმა **ქართულ წარმოდგენების მართვა დაიწყო.** პირველ ხანს წარმოდგენებს არავინ ესწრებოდა, ახლა კი, ამ საერთო გამოღვიძების ჟამს, ხალხი წარმოდგენებზე მრავლად დაიარება. სამწუხაროა მხოლოდ სი, რომ წარმოდგენის მეთაურნი უშინაარსო, ძველს პიესებს სდგამენ. ამას ხალხიც ამჩნევს. მეთაურებმა მხედველობაში მიიღეს ხალხის მოთხოვნა და განზრახვა აქვთ ქართულ დამატიულ საზოგადოებას სთხოვონ ხელმძღვანელობა ქართულად ნება-დართულ შინაარსიან პიესების დასახელებასა და მოწოდებაში.

✦ მიწის მზომელთა სასწავლებლის უფროსმა კაზაკევიჩმა მიიღო პასუხი იუსტიციის მინისტრისაგან. **მინისტრი წერს:** პირველ და მეორე კლასის მოსწავლენი წლიურ ნიშნების მიხედვით გადიყვანეთ, შემდეგ კლასში, მესამე კლასში განაახლეთ მეცადინეობა და მერე სავარჯიშოდ ახალქალაქს წაიყვანეთო. სასწავლებლის მთავრობა მინისტრის მოწერილობის აღსრულებას შეუდგა.

✦ გუშინ, 13 მაისს, ქართლ-კახეთის სასინოდო კონტორამ განიხილა საჩივარი, აღძრული საქაშეთის სამრევლოს მღვდლის მერაბ ეფრემიძეზე ცხინვალის საპოლიციო ნაწილის ბოქაულის მიერ. **ბოქაული უჩიოდა მღვდელს, ხალხს აქეზებდა პოლიციის წინააღმდეგ** და მრევლსაც ურჩევდა, დრამის ფულს ნუ მომცემთო. სინოდალურმა კონტორამ ბრალდებულის თანადასწრებით განიხილა ეს საქმე და მღვდელი ეფრემიძე გაამართლა.

✦ ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ **სავაჭრო და სამრეწველო ნაწილის გამგემ ქალაქის გამგეობას გამოუგზავნა** ფინანსთა მინისტრის-მიერ შემუშავებული **კანონპროექტი** სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთათვის ნორმალურ შესვენების შესახებ. გამგე სთხოვს ქალაქის საბჭოს, ამ საკითხის შესახებ თავისი მოსაზრებანი გამოსთქვას.

✦ ქალაქის გამგეობამ **ნება დართო** ამიერ-კავკასიის **რკინის გზის გამგეობას**, გააწყოს რკინის წყლისაყვანი მილები.

✦ გუშინ, 13 მაისს, დამთავრდა **ეგზამენები ქალთა საპროფესიონალო სასწავლებელში.** მეოთხე კლასში დაამთავრა სწავლა 26 ქალმა, ხოლო მეხუთეში—15 ქალმა.

✦ უფასო და იაფ-ფასიან სასადილოების გამგე **საზოგადოებას გუბერნატორმა ნება დართო,** თანხის გასაძლიერებლად გამართოს სეირნობა საქველმოქმედო ბაზრით.

✦ კვირას, 15 მაისს, რიყის ქუჩაზე, გაბაშვილის სახლში, **ყრუ-მუნჯთა სასწავლებელში დანიშნულია ეგზამენები** და წლიური აქტი.

ქუთაისის ცხოვრება

10 მაისს ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურეებმა კენჭი უყარეს იმ კომიტეტის წევრთ, რომელნიც წინა დღით ერთხმად იყვნენ კრების-მიერ არჩეულნი. ყუთი დაიდგა 7 კაცმა, რომელთაგან ექვსი 9 მაისს იყო არჩეული: დ. ჰ. მაჭავარიანის ნაცვლად კი, რომელმაც უარი განაცხადა ყუთის დადგმაზე, კენჭი უყარეს დ. დგებუაძეს. არჩეულ იქმნა სულ 6 კაცი, ამათგან დ. ნ. ავალიანმა მიიღო 31 თეთრი და 1 შავი, ნ. ა. ფურცხვანიძემ—26 თეთრი და 6 შავი, გ. ს. თუთბერიძემ—26 თეთრი და 6 შავი, დ. დგებუაძემ—25 თეთრი და 7 შავი, დ. ა. ნაზაროვმა—24 თეთრი და 7 შავი და ი. დ. აზნიანიძემ 22 თეთრი 10 და შავი.

✦ ქუთაისის გუბერნიის სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიას სოფლებში ხოლერასთან და სხვა გადამდებ სენთან საბრძოლველად დაუქირავებია ოთხი სასანიტარო ექიმი, რომელთაც თვიურად ეძლევათ სამას-სამასი მანათი. მის ნაცვლად, რომ ექიმები სოფლებში გაეგზავნათ და ხალხი მოემზადებინათ ხოლერასთან საბრძოლველად, მთავრობას უცდია ქუთაისში დაუტოვებია ქუჩების სატკეპნად და ტყუილად ჯამაგირების ჯიბეში სატენად; ასე რომ—ექიმები მხოლოდ მთავრობის ქაღალდზე არიან აღნიშნულნი, თორემ საქმით სრულიად არაფერს აკეთებენ. კარგ ერთი მაგალითი, თუ რამდენად გულმოდგინედ ეკიდებოდა ადმინისტრაცია ხალხის საქმეებს! მაგრამ ადმინისტრაცია რაღა გასაკვირველია, როდესაც თვითონ ექიმები, ახალგაზდა ექიმებიც კი, არ ეკიდებიან საქმეს უფრო გულმოდგინედ და არც-კი თაკილობენ მუქთად ჯამაგირების აღებას!

✦ ქუთაისის ყასბებში კამეჩის, ხარის, ძროხის, მორეკილის თუ ადგილობრივს—ხორცი ყველა ხბოს ხორცად იყიდება. ნიხრი ფაქტიურად არ არსებობს. სასაკლაოში მეტის-მეტი უსუფთაობაა; კედლები, დაზგები, ჩანგლები და სხ.—ყველაფერი გამურულ-გაბინძურებულია; ხორცს არაფერს აფარებენ და მუდამ მტვერითაა სავსე; თუ რამე მიაფარეს, ისევ მწვირიანს მიაფარებენ. თვითონ ყასბებსა და მათ მსახურებს ისეთი ფეშტემლები აფარიათ, რომ მწვირე დახით ჩამოითლება. სასაკლაოდან მწვირიან-გაბინძურებულ ტაშკებით მოაქვთ ხორცი; ამ ტაშკებითვე ქალაქიდან მიჰყავთ სასაკლაოზე დასაკლავი საქონელი, რომელიც, რასაკვირველია, აბინძურებს მათ. ხორცით დატვირთული ტაშკები ან სულ თავღია მოაქვთ, ან სათქმელად გადააფარებენ ზედ რაღაც მწვირიანს, ნაგლეჯ ტილოს, რომელიც ხორცს მთლიანად ვერ ჰფარავს და მუდამ საბინძურითა და მტვერითაა სავსე. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას, თორემ ხოლერა ცხვირის წინა გვაქვს.

ისარა.

სადღეისო

მუნჯის დღიურიდან

...მუნჯი ვარ!..

რას იცინით? ნუ თუ სასაცილოა, რომ ჯანსაღი, გონიერი, თვალხილული ადამიანი მუნჯი იყოს, ხმის ამოღებას ვერ ახერხებდეს?..

მყავდა მტერი,—ბოროტი, საძაგელი ადამიანი, ქვრივ-ობლის მჩაგვრელი, ჩარჩი, გულ-ზვიადი, რომელიც ყველას სძულდა ისე, როგორც მე მძულდა და ახლაც მძულს... განუსაზღვრელად, უზომოდ...

მძულდა. მძულდა მისი ამპარტავნობა, მძულდა მისი უშნო, ულაზათო მიხვრა-მოხვრა, მისი სახის გამომეტყველება, —მლიქვნელი და ამასთანავე მრისხანე...

ჩვენ სოფელში რომ გადმოსახლდა, ფეხი რომ მოიკიდა იმ საძაგელმა, მას შემდეგ აირია სრულებით ქვეყანა...

როგორც ნამდვილმა ჩარჩმა დაიმონავა, სოფელი: ღარიბი და მდიდარი,—ყველა ამ საძაგელ ჩარჩის ყურმოჭრილი მონა შეიქმნა და, შეშინებული, ქებათა-ქებას ასხავდა იმას, რომელიც გულში ეჯავრებოდა უსაზღვროდ...

სოფლის ადგილ-მამული ხელში ჩაიგდო, ბოგანო ხალხად აქცია ყველა, თან ჩამოყვანილი თავისი ერთგული მონა-მოსამსახურეები სხვის კერაზე დააბინავა...

რომ დათას უფროსებს დასმენოდათ ამათი ერთგულება და ამით „ოჯახის თვალი“ წინ წაეწიათ, რისთვისაც არაფერსა და არავისა ზოგავდნენ. ერთის სიტყვით, მას შემდეგ, რაც ქრთამებისა და „ჩინების“ გემო გაიღეს, თაბაძიაანთანა თავდადებული და ყურ-მოჭრილი ყმა ძნელი წარმოსადგენი იყო.

ბოლოს ყველამ გაიგო ამათი ხრიკები და იმათაც, ვინც წინად მათ მეგობრად ითვლებოდნენ, ჭირივით შესძულდათ ესენი, მაგრამ შიშის გამო პირადად ვერ უცხადებდნენ და განგებ კიდეც ელაქუცებოდნენ. ზოგნი კი, უფრო პატიოსანნი და გაბედულნი, არ ერიდებოდნენ და თავიანთ ზიზღს უცხადებდნენ. ამათ კარგად იცოდნენ, რის წყალობითაც „ოჯახის თვალი“ სიტყვასიტყვით მადლობას მადლობაზე იმსახურებდა, იცოდნენ, რა წყაროდანაც მომდინარეობდა თაბაძიანთ ფუფუნებით ცხოვრება და ახლად გადაჭიმული სახლ-კარი! იცოდნენ, რა უმოწყალოდ ეკიდებოდა დათა, ვინც კი მას ხელში ჩაუვარდებოდა, მეტადრე „საეჭვო“ ადამიანს! იცოდნენ აგრეთვე, რამდენ პატიოსან ქალისთვის მანდილი მოუხდია და რამდენი ოჯახი მიწასთან გაუსწორებია! არც დათა და არც მისი ღირსეული მშობლები არა მალავდნენ ამაებს და თითქოს კიდეც იკვეხდნენ! ალექსანდრე კაცებში და ეფემია ქალებში ამაყურ კილოთი ხშირად ჩამოსთვლიდნენ ხოლმე: ჩვენმა ბიჭიკომ ესა და ეს დაიჭირაო, აქა და აქ გაიმარჯვაო. ამდენი და ამდენი იშოვნაო...

თვითონ დათას ხომ შინაურები და ახლო მეგობრები ბევრჯერ უცინებია პოლიციურ ეპიზოდებით თავის ურცხვ ცხოვრებიდან.

ახლა, რა გაცინოთ!—ულვაშების გრეხითა და თავმომწონე ღიმილით მოჰყვებოდა ხოლმე დათა: ერთხელ, „ბუნტში“, ლამაზი გოგონა ჩავიგდე... ჯერ მაგრა-მაგრა ვუთაქე... არ შეიძლებოდა-იქვე ჩემი უფროსები იდგნენ. მერე კი, პოლიციაში რომ მივათრიე... დროებით მივუალერსე და“...—აქ მსმენელს თვალს უშვრებოდა და უნამუსოდ ხითხითებდა. ხალხის ხმა თაბაძიანთ აინუნშიაც არ მოსდიოდათ! ოღონდ ჩვენ კარგად ვიყვეთ და, ვისაც რა უნდა, მიჰქარონო! დათას წამ და უწუმ გამარჯვება და მისი ნაარმევად შემოზიდული სარჩო ყველაფერს უქარწყლებდათ, მეტადრე, როცა მოიპოვებოდნენ ისეთნიც (ხომ მოგეხსენებათ—„ალხანას ჩალხანა არ დააკლდებაო!“), რომელნიც თანაუგრძნობდნენ და კიდეც შენატროდნენ თაბაძიანთ ბედს—დათას აკრეფილ ქრთამებს! იმდენი დღეგრძელობა მე და შენ, მკითხველო, რამდენი მაჭანკალიც ყოველ-დღე კარსა და ბანს უნგრევდა ეფემიას, რამდენი გასათხოვარი ქალიც დათაზე ოცნებობდა!

III

საღამოს ათი საათი იქნებოდა, როცა თაბაძიანი და მათი სტუმრები გაფაციცებით ფანჯრებიდან ქუჩაში იცქირებოდნენ და ყოველ ამოვლილ ფაიტონის ხრიგინზე გულის ფანცქალით „აგერ მოდის! მოდის! ის არის, ისა!“ სიხარულით ხტოდნენ, მაგრამ ამაოდ—დათა არსადა სჩანდა. დიდი ხანია, ჩაი გაათავეს და აგერ სტოლზე უხვი ვახშამიც მზად იყო, დიდიხანია მატარებელი ჭყივილით მოვიდა და კიდეც დაიძრა, გულდაწყვეტილი მშობლები კი ჯერ მაინც იმედს არა ჰკარგავდნენ. რადგან იმ ხანებში, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც კანტი-კუნტად ხდებოდა პოლიციელების მკვლელობა, მთელს ოჯახს ისეთი საზარელი აზრი უტრიალებდა თავში, რომ მის გამოთქმისაც კი ეშინოდათ. მათი მწუხარე და ნაღვლიანი სახე აშკარად ამტკიცებდა, რომ დარდისაგან სტუმრებიც კი აღარ მოსდიოდათ თვალში.

ბოლოს ეფემიამ ველარ მოითმინა, გულის ბოლმა ამოუშვა და ნაღვლიანი ხმით წამოიძახა: რა ვქნა, რა იქნა, ენაცვალოს დედა?! თითქო იწერებოდა: „ხვალ უთუოდ მანდ ვიქნებიო“. ემანდ თვალები კი არ დამბრმავებოდეს და უბედურობა რამ არ შემთხვევოდეს!! თავისსავე სიტყვებით შეშინებულმა, თან რამდენჯერმე პირჯვარი გადიწერა და სწრაფად დაუმატა: უწინამც დღე დამელიოს! უწინ საათი გამიქრეს! უწინ ეფემიამ გაითხაროს საფლავი!

— რას ამბობ, ადამიანო, ეგ რამ გაფიქრებინა! რა ენამ გათქმევინა! ან პირიდან როგორ ამოუშვი?!—ეცნენ ყველანი კრიჟაში.

— რა ვიცი, ერთი-ორი მაგალითი იყო, გენაცვალეთ! მტერი ჩვენც არ გვაკლია; ყველამ ყბად აგვიღო, ყბა გაუწვრილდეთ ჩვენს ავად მახსენებლებსა! ჩვენი ერთი ბეწვა სიკეთე ყველას ეკალივით თვალში ეჩხირება და ძვალივით ყელზე ადგება! ნეტა ვისთვის რა დაგვიშავებია?!

— ის ჩემს ქმარ-შვილსა და მოკეთეს მისცეს, ის ჩემთვინ გამოიმეტოს, მამა-ზეციერსა ვთხოვ, რაც მე თქვენთვის მინდოდეს!—ხელებ-აპყრობილი ეფიცებიან ძირაანთ კეკელა, სეხნაანთ მაგდანა და ლაბაანთ სოფიო...

— რა ვქნა, გეთაყვა,—განაგრძო წუწუნით ეფემიამ.—რა მიზეზია, რომ არ მოვიდა?! ვაი, თუ თავი მომიკვდა და ი დაქერილ ავაზაკის ნათესავებმა ან მეგობრებმა ჯავრი იყარეს და დამართეს რამე?!! უწინ ხელები გაუხმეთ და დაუდუნდეთ, რო ჩემ დათას არა ავნონ-რა!

— შენ ხომ არ გამოსულელებულხარ, დედაკაცო?!—შეუტია ნაღვლისაგან ისედაც გაბოროტებულმა ქმარმა,—ნეტა, აბდა-უბდა რას გადასცემ და გადმოსცემ?! რა, ხამია „საეჭვო“ კაცების დაჭერისა, თუ როგორ არის?! ეგრე რო იყვეს, ხო სამსახურშიაც აღარავინ შევა!—თავისსავე დასამშვიდებლად ამბობს ამას, მაგრამ გული მაინც როგორღაც ეწიწკნება.

სტუმრებიც, რომელთაც, დიდი ხანია, თვალი და სული ფერად-ფერად საჭმელებზე მისდით, ყოველ ღონეს ხმარობენ ეფემიას დასაშოშმინებლად.

— კარგი ერთი, ეფემია, და!—ეს მეათედ ჩასჩიჩინებენ კეკელა, მაგდანა, სოფიო,—არა გცხვენიან, მაგოდენა დედა-კაცს, ბავშვივით, უმიზეზოდ ცხვირპირს უშვებ! ე ქმარ-შვილს მაინც გაუფრთხილდი. შენ მაგათ უნდა ამშვიდებდე, თუ გულს უხეთქამდე? შენი იმედის ჭირიმე! ერთი მითხარ, რა გაქვს სადარდელი?—შენს მტერსა და დუშმანს! ო-ჰო-ჰო! დიდი რამ არის, რაკი ერთის დღით დაიგვიანა! კაცი, ღმერთმა დღეგრძელობა მისცეს, ხელმწიფესთან წარდგენილია, აქნის-აქნამდინ „მენდლებით“ სავსეა და, რა საოცარია, რო საჭირო საქმე გამოსჩენოდეს? იქნება კიდევ ვინმე დაიჭირა და „ნაჩალნიკთან“ წარადგინა! აბა, ნახე, თუ ხვალვე თავი არ დაგიკრას!

— თქვენ პირს შაქარი, მაგრამ რა ვქნა, რო გული არ მისვენებს? თქვენც შვილების პატრონნი ხართ,—დედის ჯიგარი ხო გამოგიცდიათ?

— ვიცით, ვიცით, ჩემო ეფემია, მაგრამ უთავბოლო წუხილიც როდია კარგი, იმას კი არა ევნება-რა, იმას კი ოთხივ კუთხივ ჯვარი სწერია, შენ თავს კი მაგ გულის ხეთქებით კეთილს არ დააყრი!

ბოლოს, როგორც იქმნა, სტუმრებმა თავის დარდიმანდული სიტყვებით ისე გაუქარწყლეს შავი ფიქრები მთელს ოჯახს, რომ მალე მხიარულად ვახშამსაც შეექცნენ და სადღეგრძელოს—სადღეგრძელოზე სცლიდნენ.

— აბა, აამსეთ სტაქნები! დაცლაზეა! ისეთ სადღეგრძელოსა ესვამ ახლა, რო წვეთი არავინ უნდა დაანარჩუნოს!—ყველას ძალას ატანს თამადად არჩეული ალექსანდრე:—ეს ღმერთმა აცოცხლოს ჩვენი მფარველი, ღმერთსა ვთხოვ, რომ ი „ურჯულო“ იაპონიას ადვილად ჩაუჭეჭყოს ცხვირი!

— ამინ! ამინ!—შემოსძახეს ყველამ და სავსე ჭიქებს გადაუსვეს.

— თავშემოევლოს ჩემი თავი იმასა!—განაგრძობს ალექსანდრე—თუ დღეს ერთ ლუკმა პურსა ვჭამ და შვილებიც კეთილ გზაზე მყავს დაყენებული, იმის წყალობით.

— აბა, ალექსანდრე, ეფემია!—სავსე სტაქნებით ხელში—ეუბნებიან სტუმრები:—ეს კიდევ თქვენი შვილის სადღეგრძელო იყვეს! ღმერთსა ვთხოვ, რომ ყოველთვინ ეგრე გამარჯვებით მიდიოდეს იმის საქმე! ღმერთმა იმის პოლიცმეისტრობას და გუბერნატორობას დაგვასწროთ!

— ამინ! ამინ! თქვენ პირს შაქარი, ჩვენ კაი ამბავი,—ღიმღიმარი სახით უპასუხებს მთელი ოჯახი.

— დათას ახლა რა აქვს თავში?—აქეთ-იქიდან ეკითხებიან ქმარსა და ცოლს, რომელნიც ყოველთვინ იკვეხდნენ და ერთი-ორად აზვიადებდნენ შვილის ჯამაგირსა.

— კაი თხუთმეტი თუმანი, გენაცვალეთ, და სამი მაგდენიც საშოვარი! ახლა რაც ისე, ძღვნად ხორაგეული, შემოსდის, ის კიდევ სხვაა! როგორც გინდა, იანგარიშეთ, თავის დღეში ჩაი-შაქარზე, ლიმონზე, აპელსინზე, ტკბილეულობაზე და სხვა რამე-რუმეზე კაპეიკი არ გაგვსვლია! ასეთ-ასეთ შეკრულ ზუთხებსა და ბოჭკებით ხიზილალებს გვიგზავნის, რომ ვერც კი ვერევით!

— ნეტაი თქვენა, რომ ქვაცა გაქვთ და კაკალიცა!—შენატრიან სტუმრები:—აბა! ქეიფში თქვენა ხართ, რაღა დაგაბერებთ?

— ენაცვალოს დედ მამა, მთელი სახლობა იმას შემოევლოს თავსა, რომ ოჯახის ნუგეში და თვალია! ჩვენი სულის ჩამდგმელი ის არის!

— ნეტა რაღას აგვიანებთ, რატო ცოლს არა რთამთ, ადამიანო?

— რა ვქნა, გენაცვალეთ, ხომ იცით, იმას ყოვლისფრით შემკული ქალი ეკადრება! თუ არ ძიენ ლამაზსა, მდიდარსა, კაი ოჯახისას, ნასწავლსა, არც ჩვენ შევრთამთ და არც თითონ მოინდომებს! იჰ, იმის ცოლი რაში მეშურება,—ჯერ ისევ ბავშვია! ნეტა ე ქალები დავათხოვო და...

— ლა ალი, ლას ამბობ, დედა! ლა დღოს ცვენი გათხოვებაა!—ენის ჩლუნგვით და ვითომდა დარცხვენით ეუბნებიან ქალები, გულში კი, დიდი ხანია, სულ-სულზე მოელიან საქმროებს.

— ალუ...უ!—აბრაზიანებს დედ,—ნეკზე კი არ მიკბინოთ! მაშ ცას ხო არ შეაბერდებით? აბა, ერთი დათასთანა „კარადიანი“ გამოგიჩნდეთ, ენახით, მაშინ რაღას იტყვით?

— მაშინ მაგათ კი აღარა ვკითხამ!—უპასუხა ქმარმა,—ოქროს ლანგარზე დავსვამ და მუხლის ჩოქვით მივართმევ!

ამ დროს მოისმა გარეთა კარების საშინელი რახარუხი. ყველანი, მეტადრე თვითონ თაბაძიანი გადაფითრდნენ; ფეხზე წამოხტნენ, გაცვიფრებით გადახედეს ერთმანეთს და გოიკებით კითხულობდნენ—რა ვქნა, ამ დროს ვინ უნდა იყვეს? ეხლა რაღა „პოეზდია?“

მიხა გაქანდა კარების გასაღებად და სანამ ნამდვილ ამბავს შეიტყობდა, მის მშობლებს თავისი ემართებოდათ.

— ვაიმე, თუ ტელეგრამაა! ვაიმე, თუ გულმა მიგრძნო და ჩვენს თავს მართლა რამე უბედურობაა?!—ერთხმად შებღავლა მთელმა ოჯახმა, მასპინძლებს სტუმრები მისცვივდნენ და ამშვიდებდნენ. ზედ დატანებაზე შიშისგან სახე შეშლილმა მიხამაც მართლა დეპეშა შემოიტანა.

ტელეგრამის დანახვაზე სულ ყველას ისეთმა ფერმა გადაჰკრა, რომ მათის საცოდაობით სტუმრები თავსა და ბედს იწყევლიდნენ—აქ რად შევესწარითო.

იქ ეფემია და მისი შვილები, აქ ალექსანდრე წინ, და, წინვე გულ-საზარლად ბღავოდნენ და გაჰკიოდნენ—ტელეგრამმა!.. ტელეგრამა!.. ვაიმე, შვილო!.. დათა!.. და შიშისგან კი დეპეშის გახსნას ვერა ბედავდნენ.

ბოლოს, როგორც იქმნა, მიხამ, სტუმრების დახმარებით, აკანკალებული ხმით შემდეგი ამოიკითხა: „ჩამოხედეთ. ეს-ეს არის ახლა დათა მძიმედ დასჭრეს.“

ამის წაკითხვა და მთელი ოჯახის პირქვე უგონოდ დაცემა ერთი იყო.

ოთხი დღის შემდეგ, სიმწარისაგან თვითონაც სამარის პირზე მიგებულმა მშობლებმა, ქალაქ №-დან ქალაქ მ—ში მოასვენეს ცხედარი.

თაბაძიაანთ სწორედ გაუგო გულმა: იმ დროს, როცა დათა, თავისიანებთან წასასვლელად, ხალხით გატენილ ვაგზალზე მატარებელს ელოდა, იქვე მიმალულმა „ვიღაცა კაცმა“ ისე მაგრად ჩასცხო ზურგში ბებუთი, რომ იმწამვე სული გაანთხევინა!

ანიან.

უკმაყოფილებამ თანდათან იმატა... სოფლის ყრილობაზე გადასწყვიტეს—როგორმე დაეღწიათ ჩარჩისთვის თავი.

უნდოდათ მისი გადასახლება, ერთმანეთს ერთგულება შეჰფიცეს, განჩინება დაადგინეს, მაგრამ ვერა გააწყეს-რა ჩარჩთან... იგი უწინდელივით გულ-ზვიადი, ამაყი და ძლიერი ბატონობდა სოფელში, სოფლელების სისხლს სწოვდა და სხვის უბედურების დანახვაზე ხარხარობდა საზარლად...

დრო მიდიოდა...

უკმაყოფილება დრტვინვად გადაიქცა... ჩივილის დროც წავიდა... დაინახა ხალხმა, რომ ხვეწნა-მუდარამ არ გასჭრა, არ გასჭრა სოფლის განჩინებამ,—ჩარჩი თხოვნას ყურადღებას არ აქცევდა, განჩინების დანახვაზე სიცილით კვდებოდა...

სიცილით კვდებოდა... მაშინ, როდესაც ხალხი კვდებოდა... შიმშილით!..

და ხალხმაც გადაწყვიტა ამნაირ მდგომარეობას მოუღოს ბოლო...

გადასწყვიტა ეხმარა ძალა... ძალით მოესპო ჩარჩის გაბატონება...

შეგროვდნენ,—მეც მათთან ვიყავი,—აღნუსხეს ჩარჩისაგან ჩადენილი ათასნაირი უსამართლობა. ამ აღნუსხვით, უსამართლობის გახსენებით აღელდა ყველა და გაისმა შორს, შორს ცის კიდურამდის აღფრთოვანებული, მრისხანე გაბედული ხმა:

,,მოჰკალით, სისხლი! სისხლი‘‘!..

და თითქო სიამოვნების და თანხმობის ნიშნად ამ მრისხანე ხმას ბანი მისცა ბუნებამ და შავი ღრუბელი დასერა ელვამ, შეაშინა ქუხილმა, გაჰფანტა ქარმა...

და ამ ღრუბლის სისხლი, ცის ნამად დაიქცა მიწაზე და გამოცოცხლდა ყოველი მცენარე, ადამიანიც ორკეცის გაბედულებით იმართებოდა წელში, ორკეცის სიმკაცრით იძახდა:

— არა, ასეთი სიცოცხლე არ შეიძლება!..

და ახალი სიმღერა, აღმაფრთოვანებელი, მხიარული აერთიანებდა ყველას ჩარჩის საწინააღმდეგოდ...

ყველას სახეზე მხიარულება ეტყობოდა, უკეთეს მომავლის იმედი...

ეგონათ, რომ ძალის დანახვაზე შეშინდებოდა ჩარჩი და სოფელს შეღავათს მისცემდა...

ეგონათ, რომ მალე, ძალიან მალე მიაღწევდნენ ბედნიერებას...

ეგონათ... და მხიარულებდნენ...

მაგრამ მოსტყუვდნენ...

შეიტყო მათი განზრახვა ჩარჩმა...

შეაგროვა თავისი ერთგული მოსამსახურეები, ჯერ კიდევ მოუმზადებელ, მძინარე სოფლელებს დაეცა თავზე, პოლიცია, ურიადნიკი, სტრაჟნიკიც მოიშველია და დაიჭირა ყველანი...

თანაც ჰყვიროდა: როგორ გაბედეთ ეს თავხედობა? როგორ გაბედეთ ,,ბუნტიო‘‘?

და ამასთან მიუბრუნდებოდა სტრაჟნიკებს და არწმუნებდა,—ჩემ წინააღმდეგ, სოფლის ჩარჩის წინააღმდეგ კი არ არიან ესენი ამხედრებული, არა ესენი ,,მთავრობას ღალატობენო‘‘..

წინ წავდეგ... გულმოსულმა შევძახე მტარვალს...

— არა, არა, სწორედ შენ წინააღმდეგ ამხედრდა ხალხი, შე ჩარჩო, შენა!..

,,შენ შეაწუხე სოფელი, შენი მოსამსახურეები გაუხადე მას ბატონად, ჩვენი ნაშრომი შენ მიგაქვს, შენ!..

რად გინდა სხვას გადააბრალო თავზე შენი ავაზაკობა... ყველა ჩარჩს გეძახის, შენი ხრიკები იცის ყველამ და როგორ გინდა ახლა დაარწმუნო ქვეყანა, რომ არა ხარ ჩარჩი, რომ ხალხი შენგან შეწუხებული არ არის?

ჩარჩი ხარ, ჩარჩი!..

საშინლად დაეღრანჯა სახე, საშინელი სიბრაზე დაეტყო... გაუსისხლიანდა თვალები, დაებერა ძარღვები... ერთ ხანს გაშეშებულივით იყო გაჩერებული, თითქო გონს ვერ მოსულიყო, რომ გაიგონა ასე აშკარად გამოთქმული მის მოქმედების გაკიცხვა...

უღონოდ მიეგდო იქვე, მხოლოდ თვალს არ მაშორებდა და გონებაში რაღაცა საშინელებას ჰფიქრობდა...

მერმე მომვარდა გამხეცებული, თავში მკრა ჯოხი, წამაქცია და გაბრაზებულმა... მომგლიჯა ენა...

და როდესაც მე დასისხლიანებული იქვე ვეგდე და სიმწარით ხმის ამოღებას ვერ ვახერხებდი...მან გადააგდო განზე მის ხელით ამოგლეჯილი ჩემი ოდესღაც მეტყველი ენა... გამარჯვების ნიშნად გადიხარხარა და შემომძახა...

ილაპარაკე, ილაპარაკე ახლა ისე, როგორც გერჩიოს, გამკიცხე, თუ შეგიძლია.

,,დაგამუნჯე და მუნჯმა უნდა გამიწიო წინააღმდეგობა?.

დაგამუნჯე... არა გაქვს ენა და აწი ვეღარაფერს იტყვი... მხოლოდ შეგიძლია იკვნესო და შენი კვნესა, შენი უაზრო კვნესა სხვებს გააფრთხილებს და ფრთხილად იქმნება სოფელი!

რას ბრაზდები? მე მიხარია... ხომ ხედავ, ვიცინი აშკარად...

საშინელი წუთები გამოვიარე, სისხლით დავიცალე, ვეგდე უგონოდ... და, როდესაც გონს მოვედი და გამოვფხიზლდი, ვიყავი...მუნჯი!..

სადღაა ის დრო, როდესაც გაბედულად ვკიცხავდი ჩარჩსა...

ის დრო წავიდა...

მუნჯი ვარ, გესმით, მუნჯი, უმეტყველო, უენო!...

ნ. ნ.

რუსეთი

✦ მაისობას ვარშავაში მომხდარ არეულობის დროს ვიტკოვის მოედანზე 5000 კაცი შეიკრიბა, რომელსაც აქეთ-იქიდან ჯარი მოადგა და ხმის ამოუღებლივ თოფები დაუშინა. ერთი სროლით მოკვდა და დაიჭრა 106 კაცი. სამის დღის განმავლობაში **ვარშავაში მოჰკლეს და დასჭრეს 500-ზე მეტი კაცი** (3.)

ქალაქის საბჭო

(12 **მაისის სხდომა**)

ამ დღეს საბჭოში განსახილველად დანიშნული იყო სულ 23 საქმე. აქედან ხმოსნებმა განიხილეს მხოლოდ ერთი საქმე—პროექტი სავალდებულო დადგენილებათა ქვა-ფენილების გამართვის შესახებ. ვიდრე ხმოსნები ამ პროექტის განხილვას შეუდგებოდნენ, **ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა** კრებას შემდეგი მოახსენა: ჩვენ, ხმოსნები, სიამოვნებით ვივსებოდით, როდესაც ქალაქის მოურავს ამ დღეებში ვხედავდით მომრიგებელ შუაკაცის მეტად მძიმე როლში, რომელიც მან იკისრა ფარმაცევტებისა და აფთიაქრების მოსარიგებლად. ამისათვის ჩვენც მხარი უნდა მივსცეთ მოურავს და ფარმაცევტების გაფიცვა მოვსპოთო. **ექიმმა ავთანდილოვმა** განაცხადა, რომ აფთიაქრებთან, დიდი ხანია, მოლაპარაკება მაქვს, მაგრამ ვერაფერს ვერ გავხდიო. ყველანი თანახმანი არიან დააკმაყოფილონ ფარმაცევტების მოთხოვნილებათა მეორე მუხლი, ე. ი. ყველა გაფიცულები უკანვე მიიღონ და არავინ გამოარჩიონო, გარდა აფთიაქრების ზელინკინისა, ზემელისა, იაკუბოვიჩისა, ვილარეტისა და ბაზიეროვისა. ესენი თვის უარს ასაბუთებენ იმ გარემოებით, რომ ზოგმა ჩვენგანმა უკვე იშოვა ფარმაცევტები და ზოგსაც სულ აღარ ესაჭიროება, მცირე ვაჭრობის გამოო. ა. მ. არღუთინსკიმ ამაზე უპასუხა: მივმართოთ თხოვნით აფთიაქრებს, დაუთმონ ფარმაცევტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრესსის დახმარებით, ბოიკოტი გამოვუცხადოთ, არავინ წამლები აღარ ვიყიდოთ მათგანო. ქალაქის მოურავმა უარი განაცხადა ბოიკოტზე, ისევ პირადად მოველაპარაკოთ კიდევ და დავარწმუნოთ როგორმე და ისე დავითანხმოთო. მოურავისავე აზრს მიემხრო ექიმი ვართანოვი და დანარჩენი ხმოსნებიც.

ხმ. ა. ს. ბაბოვი შეეკითხა მოურავს, რა ყოფაშია საქმე საგუბერნიო ქალაქის მოურავების კრებისა და ავლაბრის სასწავლებლის პარალელურ კლასების დაარსების შესახებო. მოურავმა უპასუხა, ჯერ საჭირო ცნობები არა გვაქვს შეგროვილიო.

ხმ. **ა. ი. ხატისოვი** შეეკითხა მოურავს, ძმ. ზუბალაშვილებმა ასი ათასი მანათი შესწირეს საყმაწვილო სამკურნალოს დასაარსებლად, ცალკე კომისიამ და საბჭომ მოისმინა კიდევაც ეს განცხადება ძმ. ზუბალაშვილებისა, მიწის ნაჭერიც კი დაუთმო ქალაქმა და რა ყოფაშია ეხლა ეს საქმე, არ ვიცითო. **ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა** უპასუხა, ეს საკითხი გამგეობაში ჯერ არ განხილულა, რადგანაც ძმ. ზუბალაშვილებთან მოლაპარაკება ჯერ არ დაგვიმთავრებიაო. მე პირადად მქონდა მოლაპარაკება ამ დღეებში ერთ-ერთ ძმასთან და მითხრა: თუ საყმაწვილო საავადმყოფოს ვერ დააარსებთ, ჯერჯერობით სხვა ტიპისა მაინც დაიწყეთო. ამჟამად ბ-ნი ზუბალაშვილი, რომელთანაც მქონდა მოლაპარაკება, ბაქოში იმყოფება, ჩამოვა თუ არა, დავნიშნავთ ხალხის ჯანმრთელობაზე მზრუნველ კომისიის სხდომას, რომელზედაც თვით ბ-ნ ზუბალაშვილსაც მოვიწვევთ და მაშინ საბოლოოდ გადავწყვეტთ მაგ საკითხსაო.

შემდეგ ამისა საბჭომ ქვაფენილებზე იქონია მსჯელობა. გამგეობის წევრმა ენფიანჯიანცმა საბჭოს ურჩია, მთელი ქალაქი სამ ნაწილად დავყოთ და ისე მოვკირწყლოთო. ხმოსნებმა ბაბოვმა და ხატისოვმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ დაყოფა და დანაწილება შორს წაგვიყვანს და საქმეს გააჭიანურებს, საჭიროა ახლავე მოუკირწყვლელ ქუჩებზე თუგინდ უბრალო მისალით, აგურით, ხით ანრიყის ქვით, გაკეთდეს ქვაფენილებიო.

დიდი კამათი გამოიწვია ახლა იმ საკითხმა, თუ ვის ხარჯზე გაკეთდეს ეს ქვაფენილები, მაგალითად, იმ ადგილებზე, რომელიც ქალაქს ეკუთვნის და იჯარითა აქვს გაცემული. საბჭომ გადასწყვიტა, რომ ქვაფენილები გაკეთდეს შენობის პატრონის ხარჯით. საბჭომვე განიხილა ამ საკითხის შესახებ შემუშავებული სავალდებულო დადგენილება ცალკე კომისიისა და ზოგიერთ მუხლში ცვლილებანი შეიტანა.

სხვა საქმეების განხილვა შემდეგის კრებისათვის გადაიდო.

კორესპონდენცია

ქ. ერევანი. (2 მაისი). «ივერიის» მკითხველებმა უკვე იციან, როგორის შეერთებულის ძალით დაიწყეს ერევნელმა ხელზე მოსამსახურეებმა ბრძოლა თავიანთ ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ეს ერთად-ერთი შეგნებული მოძრაობა იყო მთელს ერევნის გუბერნიაში, თუმცა დიდი დაბრკოლება კი გადაეღობა.

24 აპრილს, საღამოს ჟამს, სომხებმა ხმა დაჰყარეს, რომ პირველ მაისს უეჭველად დემონსტრაცია მოხდებაო. ამ ხმამ უფრო სასტიკად გამოაფხიზლა პოლიცია, იმ დღეს, 24 აპრილს, 10 გაფიცული მოსამსახურეთაგანი დაატუსაღეს და, შემდეგ პოლიციურის დარიგებისა, საღამოს ჟამს ისევ გაანთავისუფლეს. 25 აპრილს ოჯახების გაფიცული მოსამსახურეები მუშაობას დაუბრუნდნენ, მხოლოდ რესტორან-სასტუმროთა მოსამსახურეებმა მტკიცედ განაგრძეს თავიანთი გაფიცვა, თუმცა 15-დე იმათგანიც დაიჭირეს და, როგორც ნამდვილად ამბობენ, ციხეში გაჰგზავნეს. პოლიციის ასეთმა მოძრაობამ ძლიერ შეაშინა მოსამსახურენი და თითქმის ნახევარი მუშაობას დაუბრუნდა. ამის გამო მეორე ნახევარმა ამხანაგებს შეუთვალა: „ვინც გაბედავს სანოვაგის ყიდვას, ცუდ დღეს დავაყენებთო“. ასეთმა მუქარამ გასჭრა; დაიბარეს ყველა აღებმა თავიანთი მოსამსახურენი და გამოუცხადეს, მოამზადეთ თქვენი წიგნაკები და ჩვენ ხელს მოგიწერთ, მხოლოდ იმ პირობით, რომ დღეიდან დაიწყოთ მუშაობაო. მოსამსახურენიც დაჰყვნენ ნებას და იმ დღეს ყველა მუშაობას დაუბრუნდა.

28 აპრილს, დილის 8 ნახევარ საათზე, ყველა დაჭერილები გაანთავისუფლეს.

ამის შემდეგ აქ არავითარი არეულობა არ ყოფილა, მხოლოდ დაჟინებით გაიძახოდნენ, კვირას, 1 მაისს, აუცილებლივ დემონსტრაცია მოხდებაო, რომლის გამოც ხალხი დაშინებული იყო, მაგრამ გათენდა კვირაც, გახდა ნაშუადღევის 6 საათი და არავითარი ამბავი არ მომხდარა. ერევნის ბულვარი ხალხით გაივსო, ყველა მხიარულობდა. კავალრები დამებს ათასნაირის მომხიბლავის სიტყვებითართობდნენ, ეარშიყებოდნენ; ერთბაშად ბულვარის დასაწყისთან რევოლვერის ხმა გაისმა. ხალხი დაფრთხა. ყველა შიშმა მოიცვა. კავალრებს დაავიწყდათ თავიანთი კეკლუცა დამები და სახლისკენ მოჰკურცხლეს, დამები-კი კივილ-წივილით მისდევდნენ მათ და შველას თხოვდნენ. მდაბიო ხალხი იქითკენ გაიქცა, საიდანაც თოფის ხმა მოისმა. პოლიცია დაიბნა, არ იცოდა, რა ექნა, სით წასულიყო. ბულვარი თითქმის დაცარიელდა, მაგრამ ტყვილად კი გვეცა ელდა. მთელი აურ-ზაური ერთის მთვრალის მოხელის ოინები გამოდგა. მოუძღოდა წინ ეს კაცი პოლიციელებს და თან ლანძღავდა: თქვენ ნება არა გაქვთ, მომშორდით, მე ჩინოვნიკი ვარ, საქმის მწარმოებელი, საქმის! ოჰ, თქვენი ასე და ისე, მე თვითონ მოვალ პოლიციაშიო და მრავალი სხვა. პოლიციელები მაინც არ უშვებდნენ, და პოლიციაში მიიყვანეს მაგრამ იმავე წამს სადაც წაიყვანეს, ეს კი ვიცით, რომ ბნელ ოთახში არ შეუყვანიათ. ხალხმაც მალე შეიტყო, რომ რევოლვერი მთვრალ ჩინოვნიკს დაუცლია და ისევ ბულვარს დაუბრუნდა.

ეს ერთი კვირაა, რაც აქ, პეტერბურგიდან გამოგზავნეს ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად რამდენიმე ფერშალი, რომლებმაც თავიანთი ყოფაქცევა იმ დღესვე დაგვანახვეს. ერთი, გვარად ნეპომნიუშჩი, გუბერნიის სამართველოში მთვრალი მოვიდა, შევიდა საექიმო განყოფილებაში და ყვირილი დაიწყო, გზის ფული მომეცი ტფილისიდან ერევნამდე, თორემ არვისს ვიტან და ყველას გათამაშებთო. როგორც იყო, იმ დღეს გააგდეს, მაგრამ მეორე დღეს მართლაც ერთი პატარა არღანი მოიტანა, თავის ორ მთვრალ ამხანაგით შემოვიდა საექიმო განყოფილებაში, არღანი უკრავდა, თვით კი ყვიროდა, აბა ბატონებო, ითამაშეთო, დიდის ვედრების შემდეგ, როგორც იყო, თავიდან მოიშორეს.

ამას წინად ნეპომნიუშჩი საგუბერნიო ექიმმა ქალაქის ექიმის განკარგულებაში დანიშნა, მაგრამ საქალაქო ექიმი მეორე დღესვე დილით მიიჭრა გუბერნიის ექიმთან: „არ მინდა ასეთი ლოთი, უკეთესია, სულ უფერშლოდ დარჩენა, ვიდრე მისი ყოლაო. ამის მეორე დღესვე აქედან გუბერნიის სამმართველომ დეპეშით სთხოვა ტფილისში საექიმო სამმართველოს მათი საჩქაროდ აქედან გადაყვანა, რომლის საპასუხო დეპეშაც დღეს მოსულა, სადაც მმართველი საექიმო სამმართველოისა ბ-ნი ფენომენოვი სწერს საგუბერნიო ექიმს, საჩქაროდ ყველა ეგენი (5 კაცია) გაგზავნეთ პეტერბურგში უკან, უმთავრეს საექიმო სამმართველოში, ყველა მათის ყოფა ქცევის აღწერის ქაღალდით ერთ მათგანის საქმე უკვე გადაცემულია მომრიგებელ სასამართლოში. ამის მიღებისთანავე ყველა ეგ ფერშლები დაიბარეს კანცელიარიაში, რომელთაც მისცა გუბერნიის ექიმმა სამგზავრო ფული ტფილისამდე და უბრძანა, მოწყრილობის ძალით, ხვალ, 3 მაისს, აუცილებლად წასულიყვნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სამ მათგანს სამგზავრო ფული არა ჰქონიათ, სამის თვის ჯამაგირი წინდაწინვე პეტერბურგში მიუღიათ, მაგრამ სულ არაფერში დაუხარჯავთ. ახლა ტანისამოსებს ჰყიდიან გზის ფულისათვის, მაგრამ, უეჭველია, ამასაც არაფერში დახარჯავენ და თვითონ კი უკაპეიკოდ დარჩებიან.

ხოლერის საწინააღმდეგოდ გამოგზავნილი ექიმები ერევანში ძალად ხოლერას აჩენენ. ამას წინად ერთმა გამოგზავნილ ექიმთაგანმა რაპორტით აცნობა საექიმო განყოფილებას: „კანავის“ წყალში ხოლერის ბაცილები ვნახეო, მაგრამ ამ ექიმის სიტყვა არ გამართლდა.

მარტვილელი.

ქ. ბათუმი. ბათუმის მდგომარეობა, მას შემდეგ, რაც აქ სამხედრო წესები შემოიღეს, სრულიად შეიცვალა. მშვიდობიანი ძარღვის ცემა შესწყდა, აქაურობა ნამდვილ ომის ველს წარმოადგენს. ერთის მხრით დგას დამარაგებული მშვიდობიანობის დამცველი პოლიცია, სტრაჟნიკი, კაზაკები. მეორე მხრით-მუშა ხალხი. ერთიც და მეორეც თვალს აცეცებს აქეთ-იქით. როგორც ეტყობა, ხალხი სრულიადაც ვერ დააწყნარა სასტიკმა საშუალებამ და მრავალ-რიცხოვანმა განცხადებებმა გუბერნატორებისა და პოლიციისა. პირიქით, კიდევ უფრო ხშირდება ძარცვა და უწესოებანი. აი, ორი სურათი, გუშინ და დღეს მომხდარი: მიდის ბათუმის ფართე ქუჩაზე ქალაქის საავადმყოფოსკენ კაზაკის ოფიცერი, წამოეწია ერთი უიარაღო ახალგაზდა ბიჭი, ეცა ოფიცერს, ააგლიჯა სახელმწიფო დიდი რევოლვერი და მოჰკურცხლა. მორთო ოფიცერმა ყვირილი: держите!..-ო მაგრამ დამჭერი არავინ გამოჩნდა.

მეორე სურათი. კიდევ ქალაქის საავადმყოფოს გზაზე, მოშორებით, მიდის ცხენით ერთი სომეხი ვაჭარი, აგერ წამოეწია ეტლი, რომელშიაც ორი ნაბდებ გვერდზე მოგდებული უმაწვილი ზის; გაუსწორდნენ ცხენოსანს, გადიძრეს ნაბდები; ერთი გადახტა ეტლიდან, მეორემ კი თოფი დაუმიზნა სომეხს—გაჩერდი, თორემ, ეს არის, მოგკალიო,—ეუბნება ეტლში მყოფი. სომეხი შეშინდა, მაგრამ მაინც მიდის. ახლა მისწვდა ძირს გადასული ამხანაგი, მიაბრუნა თოფი და სუსხა თავში; სომეხი გადმოვარდა ცხენიდან. ააგლიჯეს 500 მანათამდე ფული, ჩასხდნენ ისევ ეტლში და გასწიეს. ორივე შემთხვევაში ქუჩაში აუარებელი ხალხი იყო.

რია.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთს „ივერიაში“ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს მცირე შენიშვნას შესახებ იმ ცნობისა, რომელიც ჩემზედ იყო დაბეჭდილი მე-73 ნომერში (რადგანაც ამ გვარმა ცნობამ, შეიძლება, ვისმე ეჭვი შეატანინოს ჩემს პიროვნებაზედ).

კავკასიაში გაძლიერებულ დაცვის წესების შემოღებამდე კერძო პირთ შეეძლოთ ადმინისტრაციის ნება-დაურთველად ყოველნაირი სისტემის თოფების ყიდვა და ტარება სოფლად, გარდა იმ სისტემის თოფებისა, რომელიც იხმარება ჯარის-კაცთა მიერ. ამიტომ, მივიღე რა მხედველობაში ჩემდამი რწმუნებულ მრევლის აუცილებელი საჭიროება იარაღის შეძენისა, რომელიც (საჭიროება) გამოწვეულია, სხვათა შორის, ეტნოგრაფიულ პირობებით, წინადადება მივეცი ხალხს გამოეწერათ კანონით აუკრძალველი თოფები რომელიმე რუსეთში არსებულ თოფ-იარაღის ქარხნიდგან. რამდენისამე პირთა სურვილითა და ხარჯით, წარსულს იანვრის ნახევარში, მთავრობის ნებადაურთველად (და არა ნებართვით) გამოვიწერე ქ. იჟევსკის ა. ნ. ევდოკიმოვის თოფ-იარაღის ქარხნიდან (და არა საზღვარ-გარეთიდან) რვა ცალი სხვადასხვა სისტემის თოფი (გარდა ახალი სისტემისა), რომელიც მაისის პირველს მივიღე და ჩემს დიაკვანს ა. ი—ძეს გავატანე ს. დიდ-გომარეთში პატრონთათვის ჩასაბარებლად, მაგრამ გზაზედ საერობო დარაჯებს დაუპატიმრებიათ, გადაუციათ ადმინისტრაციისთვის გამოწერილ თოფებითურთ და ჩამოუყვანიათ ტფილისში, სადაც ამჟამად იმყოფება დაპატიმრებული.

სოფ. დიდ-გომარეთის მღვდელი

ქრისტესია თხინვალელი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

13 მაისი.

პეტერბურგი, 12 მაისი. ვიცე-ადმირალი ბირილევი პეტერბურგიდან ვლადივოსტოკს გაემგზავრა.

ლონდონი. მტკიცდება, რომ ბალტიის ესკადრის 50 გემი 7 მაისს წყნარ ოკეანეზე ყოფილა, კუნძულ ბატანის აღმოსავლეთად და კუნძულ ფორმოზის სამხრეთად. გემები ჩრდილოაღმოსავლეთისკენ მიდიოდნენ.

ლონდონი. არავითარი სარწმუნო ცნობა შესახებ ზღვაზე ბრძოლისა არ მოსულა. ტოკიოდან ამბავი არ არის.

ჰონკონგი. მაკაოდან მოსულ დეპეშით მტკიცდება, რომ გემს „ხოტჩინს“ 9 მაისს 12 სამხედრო გემი უნახავს ჩინეთის ზღვაზე, 140 ვერსის სიშორეზე ჰონკონგიდან. ახლო მოჩანდა 200 ნავი, სურსათით დატვირთული.

მანილა. ადმირალ ტრაინს ცნობა არ მიუღია შესახებ ბრძოლისა ზღვაზე. იმან საჩქაროდ გაგზავნა ჩრდილოეთისკენ ამერიკის კრეისერი „ცინცინატი“.

ტოკიო. ოფიციალურად. რუსებმა სიმაგრეები ააგეს სიკოუსთან, ვიენპამენის ჩრდილოეთად, მაგრამ 10 მაისს უკუ-ქცეულ იქმნენ. დილით რუსების კავალერიის ოთხმა ესკადრონმა ტაატუნზე მიიტანა იერიში, რვა მილის მძანილზე ჩანჩუნიდან, ჩრდილო-დასავლეთისკენ, მაგრამ უკუ-ქციულ იქმნენ. მეორე დღეს კავალერიამ მონგოლიის ჩრდილო საზღვრისკენ დაიწია,—არა-ოფიციალურად იუწყებიან, ამას წინად რუსების კავალერიამ რეკოგნოსციროვკა მოახდინა ლიაოხეს დასავლეთად იმ განზრახვით, რომ იაპონიის ჯარი აღმოეჩინა მონგოლიის საზღვართანაო. რუსები განცვიფრებულნი არიან, რომ იქ იაპონიას დიდძალი ჯარი ჰყოლია. ფიქრობენ, ამჟამად რუსეთის ესკადრის ნაწილი ხაინანის ახლო უნდა იყოს, უმთავრესი ნაწილი კი წყნარ ოკეანეზე გავიდაო.

კოპენჰაგენი. ცნობა მოვიდა, რუსეთის მეოთხე წყნარ-ოკეანის ესკადრა დანიის წყლებზე გაივლის ივნისის გასულს (ახ. სტილით) და შორეულ-აღმოსავლეთისკენ წავაო.

შანჰაი, 12 მაისი. სარწმუნო წყაროები იუწყებიან, რომ რუსეთის ფლოტის ხუთი გემი, სამი ნახშირის მზიდავი და ერთი კრეისერი ინგლისის შესართავში მივიდა. შემდეგ კრეისერი განშორდა. 3 გემი ბუზუნში მივიდა.

შანჰაი, 13 მაისი. ,,დეილი მეილი‘‘ დეპეშით იუწყება: ხშირ ბინდისას ფუზანში ღუზა ჩაუშვეს შვიდმა მშველელმა კრეისერმა, რომელთაც სიგნალები არ მიუციათ. ამ ამბავმა დიდი სენსაცია გამოიწვია. აქ ბალტიის ესკადრისთვის დიდძალი მასალაა დამზადებული.

ტოკიო, 12 მაისი. ,,დეილი ტელეგრაფი‘‘ იუწყება: რუსეთის საქმეთა რწმუნებულმა პეკინში დაუყოვნებლივ მოითხოვა პასუხი მონგოლიაში ნეიტრალიტეტის შესახებ ნოტასი. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის ჯარი ჩინეთის ტერიტორიაზე გაივლისო.

შანჰაი, 13 მაისი. რუსების თავისუფალ ფლოტის შვიდი კრეისერი გუშინ ფუზუნთან გაჩერდა, წინდაწინ კი არ შეუტყობინებია. მოსვლა რუსების გემების მოულოდნელი მოსვლა შანჰაის წყლებზე საოცარია, თუმცა რუსის ესკადრისთვის აქ, დიდი ხანია, სურსათის საწყობები დაამზადეს.

ლონდონი. ,,დეილი ქრონიკლის‘‘ სოფიელი კორესპონდენტი ირწმუნება, შემიძლიან დაემტკიცო, რომ რუსეთმა ახალი სამხედრო გემები შეიძინა და მათ შორის ოთხი ჯავშნით მოცული კრეისერი და სამი კონტრ-ნაღმოსანი, რომელთაგან ორი ახალის კონსტრუქციისა არისო. ეს გემები არგენტინის რესპუბლიკას მიუყიდნია ბულგარიის მთავრობისათვის წარსულ კვირას. ორი ათასი რუსი მეზღვაური ლიბავიდან ახალ გვინეას ნაპირისკენ გაგზავნეს, სადაც ახალი გემები, ბულგარიის დროშით მცურავნი, რუსებს ჩაბარდებათ. ამ ამბავს ცუდი შედეგი არ მოჰყვება, რადგან ბულგარიას ნეიტრალიტეტი არ გამოუცხადებია.

ეკატერინბურგი, 12 მაისი. გაფიცულთა ერთმა ნაწილმა ქარხნებში მუშაობა დაიწყო.

ბელოსტოკი, 12 მაისი. დიდის ამბით გაასაფლავეს სუგარევსკი, რომელიც დანიშნა მომქმედ არმიაში მერვე კორპუსის უფროსად.

მოსკოვი. მექარხნეებისა და მოსკოვის გუბერნიის ქარხნების ინსპექტორთა კრებამ გადასწყვიტა, რომ მუშათა კავშირების ორგანიზაცია თავისუფალი და მუშათა სურვილზე უნდა იყოს ხელფასი უნდა დაწესდეს პატრონებისა და მუშების თანხმობით. სამუშაო დღის შემოკლების შესახებ საკითხს არ გადაუწყვეტიათ, თუმცა ინსპექტორები თხოულობდნენ ათი საათის სამუშაო დღეს.

კრონშტადტი, 13 მაისი. ჯამაგირის მიუცემლობის გამო მოულოდნელად გაიფიცნენ ნავთსადგურის მუშები, შეტაკება არ მომხდარა, ფლოტისა და ნავთსადგურების უფროსმა კომანდირმა ბრძანება გასცა და მათი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილონ. მუშაობა დაიწყეს.

უფა, 13 მაისი. გუბერნიის მმართველის განკარგულებით მენზელინას შეერთებული კლუბი დაიხურა.

ტომსკი, 13 მაისი. ფარმაცევტების საზოგადოების დამფუძნებლებმა შუამდგომლობა აღძრეს იმაზე, რომ ქალებსაც მიეცეს უფლება ტომსკის უნივერსიტეტში სიარულისა.

რომი, 13 მაისი. დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი რკინის გზის საზოგადოებათა ლიკვიდაციისა და რკინის გზების ხაზინაში გადასვლის შესახებ.

ლონდონი, 13 მაისი. ინგლისის ელჩი გარდინგი პეტერბურგს წავიდა.

სტამბოლი, 13 მაისი. სალონიკის მახლობლად, წმინდა ათანასეს მონასტერთან, გაფანტულ იქმნა მეამბოხე ბერძენთა რაზმი. ბერძნებმა 25 მოკლული, მათ შორის ბელადი კრიტელი დაფოტისი, დასტოვეს და გაიქცნენ.

ომსკი, 13 მაისი. გენერალ-გუბერნატორმა არა მგზავრთ გემების ბუფეტებში არყის სმა აუკრძალა.

ელეცი, 13 მაისი. ვაჭართა უმეტესობის აზრით, საჭიროა სავაჭრო დაწესებულებებში 12 საათი სამუშაო დღე იქმნას შემოღებული და კვირა უქმე დღეს ვაჭრობა აიკრძალოს.

სიმფეროპოლი, 12 მაისი. გუშინ სასამართლო პალატაში ხალხის დაუსწრებლად გაირჩა საქმე პროკლამაციების დარიგებაზე. გლეხს კოკოვიაკინს ერთის წლით ციხე მიუსაჯეს, აზნაურს სიდოვსკის ცხრა თვე. ორივეს ჩაეთვალება საქმის გარჩევამდე ექვსი თვე ციხეში ჯდომა.

კანეია, 12 მაისი. ქვეყნის შინაურ ცხოვრებაში გამეფებულია თვითნებობა. შეიარაღებული ქრისტიანები ყოველსავე ძალმომრეობასა და სისაძაგლეს სჩადიან. ჟანდარმერია სუსტია. მაჰმადიანებმა მიჰმართეს ინგლისის სამხედრო მოხელეებს, მცირე რაზმები გაჰგზავნეთ იმ ოთხ ადგილებში, სადაც მაჰმადიანი ცხოვრობენო.

ვარშავა, 13 მაისი. პეტერბურგის კონსერვატორიიდან ამას წინად მთავრობის-მიერ დათხოვნილის პროფესორ-კომპოზიტორის რიმსკი-კორსაკოვის ახალი ოპერა „პან ვოევოდა“ პირველად წარმოადგინეს. ოპერას საზოგადოება სიხარულით მიეგება და ავტორს თანაგრძნობა გამოუცხადა.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 10 მაისი 1905 წ.

სამ-თვიან ვექსილის კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,05
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,85
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,65
ბირჟის დისკონტი	5½—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	84⅛
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შიხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	380
5% მეორე შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1866 წ.	290
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	255½
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ.ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	196¾
ძმ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	—

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვი. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიამიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 13 мая 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.